

1947/2
Зе м б ე რ ი
124/8



1947 N

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჭ ე ჭ ი ჭ ა ჭ ი ჭ ი 21-გ
1947 წელი ინდუსტრიული
ბაზარის მიმღები



პ. ი. თ. ბ. ე რ კ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური პომიტეტის
უფალისა და საბავშვო შურხალი

ПИОНЕРИ

Ежемесячный детский журнал
Центрального Комитета
ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)

№ 7

0 3 ჭ 0 6 0

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ., № 28,
ტელეფონი № 3-81-85



მოსკოველი პიონერები ბეღადის სახელთან გორში



უფასასის კომიტეტის გაუხარდება

გორში მერცხლების ჭიკვიკი
დღეს ღილიღანვე გაისმის...
ვთქვი, ეს რამდენი ხმა ისმის,—
აპრილია თუ მაისი!

თურმე თქვენ ჩამოფრენილხართ,
ხმა გამაგონეთ წკრიალა,
თურმე თქვენი ხმა მალხენდა,
მერცხლის ჭიკვიკი კი არა!

მოსულხართ რუსი, სომეხი,
ესტონელი და ბაშკირი,—
რომ ნახოთ დიდი აკვანი
დედის მკერდივით გაშლილი.

მზემ მოგაგებათ ღიმილი
შშობლიური და გულშრფელი...
გესმით, რას მღერის ნიავი,
რაზე თრთის ხეზე ფურცელი?!


გესმით სიმღერა გორისა—
ყველა ქალაქის ნანატრი?!
— აქ დაიბადა მნათობი,
ხალხთა სიცოცხლე მარადი!

მოსულხართ, სახლი რომ ნახოთ
პატარა, მაგრამ დიადი,
რომელმაც შობა მხეკაცი,
რომ გაეფანტა წყვდიდი.

მოსულხართ, ხმა გამაგონეთ
მეტად საამო ნორჩებმა...
იხარეთ, თქვენზე სიმღერას
განა პოეტი მორჩება!

იხარეთ, თქვენ გაგიმარჯოთ,
გაიფურჩქენით ვარდებად,
ისეთი კარგი იყავით,
სტალინს რომ გაუხარდება.





გორში, დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქში, 29 ივნისს გაიხსნა საქართველოს პიონერთა მესამე რესპუბლიკური შეკრება, რომელსაც ესტუმრნენ აგრეთვე მოსკოველი და ლენინგრადელი, უქრაინელი და ლიტველი, ესტონელი და სომები, აზერბაიჯანელი და ასი ბიჭუნები და გოგონები. მათ სიხარულს იზიარებდა მთა და ბარი. კრასნიარსკელმა პიონერმა იურა იჩისმოვმა სთქვა: „გზა შუშენსკოვდან თბილისამდე გრძელი იყო და თითქმის მოქანცველი, მაგრამ როგორ შეიძლება დაღლა იგრძნოს პიონერმა, რომელიც მიემგზავრება იქ, სადაც დაიბადა ყველაზე ახლობელი, მშობლიური ადამიანი. თვითმფრინავით, მანქანითა და რეინიგზით გადავსერეთ შორი გზა ჩრდილოეთიდან მზიურ ქვეყანაში... ჩვენთან, კრასნიარსკის მხარეშიც, ბევრი რამ არის საინტერესო. ჩვენს სკოლასთან, მდინარე შუშეზე დგას სახლი, რომელშიც 1897-1900 წლებში ცხოვრობდა გალასახლებული ლენინი. ახლა იქ მუზეუმია“. ასე დაახლოვა შეკრებამ დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქში ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარის ნორჩი პიონერები.

შეკრება გაიხსნა გორის სახელმწიფო თეატრის შენობაში. შეკრებას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ალკაც ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამს. დ. რომელაშვილი, საქართველოს კომეკვშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სკოლის დარგში ამს. ნ. უვანია. პიონერებმა გულდაქმით მიისმინეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვ. კუპრაძის მოხსენება ბელადის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ. აგრეთვე სტალინის სიყრის მეგობრების გიორგი ელისაბედაშვილისა და გრიგოლ გლურჯიძის მოგონებანი.

მოსკოვის დელეგაციამ შეკრების პიონერების საქმიანობაზე, თუ როგორ შეუდგნენ ისინი დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლის. მათ გადასცეს გორელ პიონერებს ძეირფასი საჩუქრები.

მქუჩარე ოვაციით გაუგზავნეს პიონერებმა მისასალმებელი დეპეშები მოზარდი თაობის ყველაზე დიდ მეგობარს, მამასა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს, დიდი



გორელი პიონერები სადგურზე ეგებებიან სტუმრებს

სტალინის ერთგულ თანამებრძოლებს ვ. მ. მოლოტოვსა და ლ. პ. ბერიას, აგრეთვე ამს. კ. ნ. ჩარქვიანსა და ამს. ნ. ა. მიხაილოვს.

მოიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე შეკრება დამთავრდა.

სალამოს გორის თეატრში მოწყო პიონერების თვითშემოქმედებითი სალამო.

მეორე დღეს, 30 ივნისს, პიონერები ავიდნენ გორის ციხეზე. შემდეგ დაათვალიერეს ბავშვთა სახვითი ხელოვნებისა და ტექნიკის დარგში მოწყობილი გამოფენა. მიიღეს მონაწილეობა ზეიმში, სადაც ჩაეყარა საფუძველი მონუმენტს — „სტალინი ბავშვობაში“.

გვიან მხურვალედ დაემშვიდობნენ საყვა-
ჩელ ქალაქს სტუმრები. ექსპრესი მიქროდა
საქართველოს დედაქალაქისაკენ, ისმოდა სა-
ყვარელი ბავშვების წერიალა სიმღერა:

„შენ აყვავდი, ქართლო, მეტად
მზე შენა და ვარდის ფენა,
შენ დაპადე, შენ გაზარდე,
— ვინც ქვეყანას გაუთენა!“

საქართველოს დედაქალაქში შეკრების მო-
ნაწილენი სიხარულით მოეფინენ სტალინის
სახელობის კულტურისა და დასვენე-
ბის პარკს, მთაწმინდაზე. დაათვალიე-
რეს ავლაბრის არალეგალური რესტავრირე-
ბული სტამბა, ეწვიენ ვ. ი. ლენინის სახე-
ლობის მუზეუმის თბილისის ფილიალს, რო-
მელშიც უხვად არის თავმოყრილი მდიდარი

მასალები დიდი სტალინის რეკოლუციური
მოღვაწეობის შესხებ ამიერკავკასიაში.

შემდეგ შეკრების მონაწილენი გვირგვის
ნებით გაემართენ მთაწმინდის ვანთეონი-
საქენ, საღაც დაკრძალულია ქართველი დე-
და, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი ბე-
ლიდი, მშობლიური სტალინი.

3 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის თბი-
ლისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახ-
ლეში მოეწყო გამოსათხოვარი საღამო, რო-
მელიც მედატ გულთბილად ჩატარდა.

შეკრება დამთავრდა, შეკრების მონაწი-
ლებმა გულმოლგინედ დაათვალიერეს დი-
დი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას-
თან დაკავშირებული ყველა ადგილი.

მათი მოგზაურობა სტალინური მარშრუ-
ტით მარად სახსოვარი იქნება.



ესტონელი პიონერები გორში

წერილი აჭარა ქია ჭავრენტი ჭერიას



ერილი დამიწერა,
ძია ლავრენტი ბერია.

ვიცი რომ გაგიხარდებათ
ჩემი ასეთი გმირობა,
რომ შევასრულე ნამდვილად
პიონერული პირობა.

ჩვენი რაზმი კი სკოლაში
ყველას სული და გულია.
გამოფენაზე რაცა გვაქვს,
სულ ჩვენი დახატულია.

სახლშიაც დედას ვახარებ,
მოწყენას მას არ ვაკარებ,
პატარა დას და ძამიკოს
ვუვლი და ხელით ვატარებ.
ხე დავრგე, უკვე იხარა,
ფოთლები გამოიტანა.

აროდეს დამზარებია
მისთვის ზრუნვა და ტრიალი,
ახლა მთელ ეზოს ახარებს
მწვანე ფოთლების შრიალით.

პატარა თოფი მიყიდეს,
თამამად გაღავიკიდე,

სოფელში მიმეჩქარება,
ვისწავლი თოფის ხმარებას,
სამშობლოს გამოვადგები,
მტერი ვერ მოგვეკარება.

თავთავი უკვე მწიფეა,
თავს იწონებენ ყანები,
კოლმეურნენი მღერიან,
მეც მივალ, მივეხმარები.

ერთი რამ სათხოვარი მაქვს,
ერთი რამ დამრჩა უთქმელი:
ჩვენზე ამდენი ზრუნვისთვის
ბელადს მადლობა გულწრფელი!





მოთხოვა

სწვაგან არსად არ დაიძინებდა, უთუოდ თავისი საყვარელი აღამიანის ფეხებთან უნდა მოექალათა. გულარხეინად არც იქ ეძინა, სიზმრებსაც კი ხედავდა. მაშ რა იყო იმისი მიზეზი, ძილში რომ წამოიყენდა ხოლმე? მისი საყვარელი აღამიანი, მებრძოლი ლადო სარიშვილი, სანგრიდან რომ ამოსულიყო, მძინარეც კი მიხდებოდა, ელდანაკრავივით ამოვარდებოდა ზევრთ, რძლენიმე წამში ახლომახლო მიდამოებს შემიტებენდა, ქლოშინით დაუწყებდა ძებნას, სწუხდა, უჩემოდ ხომ არსად წავიდა.

— აქა ვარ, ბროლია, აქ, რას დაფერდი? — მიმართავდა ხოლმე ლადო და თავზე ხელის გადასმით ეალერსებოდა.

ბროლიაც შვილდებოდა, სიხარულისაგან შურდულივით წინ გაექანებოდა, თითქოს ყელასათვის უნდა ემცნო, რომ ლადო მოდიოდა.

ის თოვლივით თეთრი იყო. მოგრძო პატარა თავი ჰქონდა, გრძელი ყურები და ყავისფერი ჰქვიანი თვალები. შეიძლება ლადოსაც კი ყოველთვის არ ესმოდა ბროლის გულისთქმა, მაგრამ ის კი ჰეშმარიტება იყო, რომ ბროლია ყველაზე მეტად მას უყავრდა. თავისი ჰქვიანად გამომცეკირალი თვალებით ბროლია ნამდვილად მეტყველებდა. როდესაც ლადო საჭურველს ისხამდა, ის გრძნობდა, რომ ლადო სადღაც აპირებდა წასვლას. მაშინ ბროლია ისე გამოიცირებოდა, რომ ხესაც აგრძნობინებდა თავისი მოლოდინს. ერთ აღილზე ტრიალებდა და ლადოს თვალს არ აშორებდა. თითქოს ეუბნებოდა: მზადა ვარ, აგელევნოო. იქამდე იტრიალებდა, ვიღრე ლადო არ ეტყოდა:

— ახლა მე და შენ ერთად წავალთ, ჩემო ბროლია!

ამ სიტყვების გაგონებაზე ბროლია სიხარულით თათებსაც კი შეახებდა ხოლმე ლადოს და მერე სულ გზისაკენ ეჭირა თვალი.

ერთ ლამეს სახაგარში ხმადაბლა გაისმა:

— სარიშვილო, მეთაურთან!

რამდენიმე წუთის შემდეგ ლადო უკვე ისმენდა მეთაურის ბრძანებას საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

როდესაც ლადომ საჭურველის ასხმა დაიწყო, ბროლიამ იგრძნო, მამაცი მებრძოლი რომ სადღაც აპირებდა წასვლას, და თვითონაც მზად იყო ასდევნებოდა. მაგრამ ამჯერად მისი წავენა არ შეიძლებოდა: ლადო მეტად სახიფათო უბანზე მიდიოდა დასაზერავად და საჭირო იყო დიდი სიფრთხილის დაცვა. შეიძლება იქ ბროლიას ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რომ უნებლიერ გაეცა თავისი საყვარელი აღამიანი.

ბროლია ჯაჭვით დააბეს, რაც ძლიერ ეჯავრებოდა. როდესაც ჯაჭვი კისერზე ჰქონდა შებმული, მთლად ირეოდა, ღრღნიდა თავისი ალმასივით მჭრელი კბილებით, ღრენით აქნევდა თავს, ჯაჭვის დაწყვეტას ლამბდა, მაგრამ ბროლია ამას ვერ ახერხებდა და ილაჯგაწყვეტილი წქმუტუნით ჩაცუცქდებოდა, ურიგებოდა ბედს.

ამ ლამესაც ასე დაემართა.

ქვეშეხების ურიალმა * * * თითქოს ჩვეულებრივზე აღრე გაათენა. შემოდგომის მზის სუსტი სხივები უყითლად გადაეფრქვია შეყვითლებულ ტყეებსა და ფორებს. ოცეულიც იერიშზე გადავიდა. მეომრებს ბროლიაც აედევნა, მაგრამ ლადო იქ არ იყო

და უხერხულად გრძნობდა თავს... ლატოს კვალს ძებნა დაუწყო. მალე მიაგნო და შე-
ჩერდა... შემდეგ მარცხნივ გაღაუხვია
და გამხმარი ბალახისა და ნამიანი მიწის
ყნოსვით მირბოდა კვალზე. მებრძოლებმა
შეამჩნიეს, რომ ბროლია ჩამოშორდა მათ,
მაგრამ მისთვის არავის ეცალა.

ბროლიამ კარგა ხანი ირბინა. ხან ბორცვს
გადაირბენდა, ხან ვიწრო ბილიქს მიჰყვე-
ბოდა პატარა ტყეში. ღრობადრო ჩერდე-
ბოდა და იქით მიიხედავდა, საითაც ყუმბა-
რები სქედებოდნენ. ხანდახან მწარედ შეჰ-
ყეფდა ხოლმე სროლის ხმას. სწუხდა ბრო-
ლია, ის გრძნობდა, რასაც ნიშნავდა ეს
სროლა.

ბროლია ხევში ჩაეშვა. ახლა ის ბილიქს
აღარ მიჰყვებოდა, კლდე-ლრეში ჩაჰყვა სა-
ყვარელი მებრძოლის კვალს.

მალე იგი ხმადაბალი ყეფითა და წქმუ-
ტუნით დაჭრილ ლაღოს წაადგა თავს. თა-
ვით ფეხებამდე დაყნოსა და წქმუტუნით
თითქოს სამდურავს ეუბნებოდა: — აქამდე
სადა ხარო.

სისხლით დაცლილი მებრძოლი უდონოდ
იყო, მაგრამ ის მაინც მრახერხა, რომ ოდ-
ნავ წამომჯდარიყო, ბროლიასათვის თავზე
ხელი გადაესვა და ეთქვა:

— შენა ხარ, ჩემი კარგო მეგობარო?!
მომავენი?! რა კარგია, რომ მიპოვნე!

ბროლია ჩაცუცქდა, წინა თათებზე თავი
დასდო და პატარა ხანს ტკბებოდა ლადოს
მოფერებით.

მძიმედ დაჭრილი მებრძოლის გულში
იმედის ნაპერწკალი გაჩნდა. ამ ხევში აქამ-
დე არავინ სჩანდა, მხოლოდ ბროლია მო-
ვიდა და სწორედ ბროლია უნდა დახმარე-

ბოდა. მაგრამ ლატოს წელი ბროლიას კი-
სერზე შეჩერდა, მისი ხმაც შესწყდა. ამ
ღროს უტყვი, გრძნობიერი ბროლია წამოხა-
ტა და ჭკვიანური თვალებით მიაჩერდა,
თითქო რაღაც დავალების ელოდა.

ბროლიას სწრაფმა მოძრაობამ ლაღო შე-
ძროთ და გამოარვეთა, შემდეგ ნელა უთხ-
რა:

— წადი, ჩემო ბროლია, ვინმე მოიყვანე
ჩემთან... ვინმე მოიყვანე ჩემთან!

ბროლიას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდებო-
და, ის მაშინვე მიხვდა ნათქვამს. განა ცო-
ტჭერ გაუზევნიათ დავალებით, ან რო-
დისმე შემცდარა დავალების ასრულების
ღროს?!

ბროლიამ რამდენჯერმე შეჰყეფა და გა-
იქცა. ლაღომ თვალი გააყოლა.

ბროლია ეძებდა მებრძოლებს, აღამია-
ნებს, რომელთაც ლაღოსათვის დახმარების
გაწევა შეეძლოთ. ბოლოს ბრძოლის გელზე
გაშლილ წითელარმიელებს მიაგნო. შენე-
ლებული ბრძოლა სწარმოებდა, მტერი უცან
იხევდა. ბროლია არ დაერიდა ჰაერში მო-
ზუზუნე ტყვიებს.

ნაცნობმა მებრძოლებმა სიხარულით შე-
ხედეს ბროლიას, რომელიც მოსვლისთანავე
მეთაურის ფეხებთან ჩაცუცქდა, გაულიმეს,
თბილი სიტყვითაც მიეგებნენ, მაგრამ მა-
შინვე მიივიწყეს. ბროლია კი მოუსვენრობ-
და. ხან ერთსა და ხან მეორეს ჩემის ყე-
ლებზე ნაზად ავლებდა კბილებს და თაფის-
კენ ეწეოდა, თითქოს ამით ეუბნებოდა, წა-
მომყევითო. მებრძოლები ვერ მიუხვდნენ
ბროლიას გულისთქმას. კარგა ხანს ანიშ-
ნებდა იგი ხან ყეფით, ხან წქმუტუნით, ხან
უკან გაქცევით, გამოშევითო, მაგრამ ვე-
რაფერს გახდა.



შოთაშინებიდან გამოსული ბროლია უკან გაბრუნდა, მეობარს მარტო როგორ დასტოვებდა?! მირბოდა იგი უკან მოუხედავად. გზაში ორი ჯარისკაცი შეხვდა. ისინი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდნენ, რაღაც მიპქოდათ მოშინავე პოზიციაზე.

ბროლია ამ ჯარისკაცებს მიუახლოედა თუ არა, მაშინვე მიწაზე გაწვა და წემუტუნი დაიწყო.

— ეშინა, საცოდავს! — წარმოსთქვა ერთმა და გზას გადაუსვია.

ბროლია კი არ მოეშვა, მიირბინა და ფეხები ჩაუვარდა მათ.


წითელარმიელებს ეჩქარებოდათ, გაშორდნენ ბროლის და განაგრძეს გზა. იმედ-დაკაგული ბროლია აღარ გამოსდგომია მათ. დალობებული თავის გზით გაეშურა.

ხევს რომ მიუახლოედა, ერთი წამით გაჩერდა. აღარც მიწას ყნოსავდა და აღარც ბალას. ბროლიამ თავისი მგრძნობიარე და მუდიმ სკელი ცხვირი იმ მცირე ნიაცს მიუშვირა, რომელიც გამხმარ ბუჩქებს მხოლოდ ღდნავ არხევდა. აყეფდა, მერე გულისძომელებული ყმუილი დაიწყო. ამ ნიაცით მოსალოდნელი უბედურება იგრძნო.

ხევში ჩაირბინა.

თუმცა ლადო თვალია იწვა და უცნაური ღიმილიც შესრჩნდა სახეზე, მაგრამ ის მაინც ცივი და უტყვი იყო. ბროლის ყურები ჩამოუვარდა. შემტრთალმა და შეშინებულმა ცალი თათი მაღლა ასწია და ფრთხილად ჩამოუსდა მკერდზე.

ლადო არ განძრეულა. ბროლიამ ერთხელ კიდევ გაიმეორა ეს მოძრაობა, მერე ხმადაბლა აყეფდა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა. საცოდავი გამომეტყველება პქონდა მას. ის ჩუმად დაწვა ლადოს ფეხებთან. ხანდახან მოსხლეტილად თავს წამოსწევდა ხოლმე, სმენად გადაიქცეოდა, თითქოს რაღაცა ნაცნობი და საყვარელი ხმა შემოეს-



მაო, მაგრამ ისევ მალე დასდებდა ხოლმე თავს დაუძლურებულ თათებზე. ასე იწვა უჭმელ-უსმელი. ხანდახან წამოდგებოდა ხოლმე და დააცემერდებოდა საყვარელ ადამიანს.

რამდენიმე დღეში ბროლია თავის ლანდს დაემსგაესა, ყურები ჩამოჰყარა და სღუმდა.

მხოლოდ ერთხელ კიდევ აყეფდა ბროლია: ეს მაშინ, როცა ხევში სანიტრები გამოჩნდნენ და მებრძოლის გვამი მიწას მიაბარეს, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა ბროლის, რომ იგი მისუსტებული ყეფით ლადოსაც ეთხოვებოდა და თავის სიცოცხლესაც.





ერთი პატარა ბიჭია,
 ბიჭი — ყველასგან ქებული,
 საქმეში დაუზარელი,
 სწავლაში წარჩინებული.
 ნოდარი ჰქვია სახელად,
 ბიჭია გასაოცარი, —
 შარშან ის მთელი ზაფხული
 არვის უნახავს მომცდარი;
 რიერაჟზე წამოდგებოდა,
 პირს დაიბანდა წყაროსთან
 და კოლექტივის საქმეზე
 პირველი მიიჩქაროდა.
 ბევრჯერ გასულა ყანაში
 პატარა თოხის კაშკაშით,
 მარჯვედ შველოდა უფროსებს
 კალოზე ძნების გაშლაშიც.
 ზოგი ზარმაცი ბავშვივით
 ხის ჩრდილში როდი ეძინა...
 იმ შრომით ოჯახს ნოდარმა
 ბევრი შრომადღე შესძინა.
 და როცა ინაწილებდნენ
 ქირნახულს კოლმეურნენი,
 შინ მიიტანა ნოდარმაც
 მოსავლით სავსე ურემი.
 წელს უკვე მორჩა გამოცდებს
 და ნახეთ მისი გმირობა!
 — წელს უკეთ ვიმუშავებო, —
 ასეთი დასდო პირობა.

ზურაბ ჭავჭავაძე

ექვსი წელი ვ.ი. ლენინიანი

ვ. ი. ლენინის პირადი შოფრის მოგონება*

როგორ ისვენებდა ვლადიმერ ილიას-ძე

კლადიმერ ილიას-ძე ლენინი, როგორც
ცნობილია, უმაგალითო შრომისმოყვარე
ადამიანი იყო. მთელი თავისი ცხოვრება მან
დაურალავ შრომაში გაატარა.

საუკეთესო დასვენებად ვლადიმერ ილიას-
ძეს კვირადლით ქალაქგარეთ გასვლა მიაჩნ-
და...

ერთ კვირადღეს ვლადიმერ ილიას-ძე,
ჩვეულებისამებრ, ქალაქგარეთ წავიყვანე.
გავჩერდით სოფელ ბოგდანიხაში. ვლადიმერ
ილიას-ძეს უყვარდა უცნობ აღგილებში გა-
ჩერება, აღგილობრივ გლეხებთან გასაუბ-
რება.

ასე იყო ბოგდანიხაშიც. ვლადიმერ ილიას-
ძე გაღმოვიდა მანქანიდან და გაემართა ქო-
ხებისაკენ. გზად მოდიოდა გლეხების ჯგუ-
ფი. მათში შემთხვევით აღმოჩნდა მოხუცი
გლეხი, რომელსაც ნახული ჰყავდა ლენინი.
მან იცნია ლენინი და იმწამსვე უთხრა ეს
თავის თანამგზაერებს. ლენინს გარს შემო-
ეხვივნენ გლეხები, გაიმართა ბასი.

მალე ლენინის ირგვლივ თავი მოიყარა
ღიღდალმა ხალხმა. ყველას უნდოდა ლენინის
დანახვა, მისი სიტყვის გაგონება და შეკით-
ხვის მიცემა. ლენინი ყურადღებით უსმენ-
და ყოველ მათგანს და სიამოქნებით აძლევ-
და პასუხს.

უცბად ხალხს გამოეყო ერთი მოხუცი
გლეხი და თანასოფლელებს მიმართა:

— აღ ჩვენ წინ არის ყველაზე მთავარი
ბოლშევიკი—ლენინი. მოდით, ვუამბოთ შას
ჩვენი გაჭირვება. ვინდა გაგვიშვეს დახმარე-
ბის, თუ იგი არა!...

ყველა აღაპერაცია ერთბაშად. ყველა
ცდაღობდა უფრო ხმამაღლა ეთქვა თავისი
საოქმელი, რომელიც, როგორც ჩანდა, სე-
რიოზული რამ იყო და ყველას აჭუხებდა.
ვლადიმერ ილიას-ძემ გააჩერა ისინი და უთ-
ხრა:

— ასე არ ივარგებს, ამხანაგებო! მე ვე-
რაფერს ვერ გავიგებ, თუ ყველამ ერთად
ილაპარაკეთ. აირჩიოთ ერთი ვინმე, რომე-
ლიც დალაგებით იტყვის ყველაფერს. თქვენ
კი უსმინეთ, და თუ ის რამეს გამოტოვებს,
ან არ იტყვის ისე, როგორც საჭიროა, —
გაუსწორეთ.



აირჩიეს თეთრწვერა მოხუცი.

...ვლადიმერ ილიას-ძე დაძაბული ყურადღებით უსმენდა ამ მოხუცის. მოუსმინა ბოლომდე და სოხოვა გლეხებს დაეწერათ ყოველივე, ყვალა ფაქტი ალენიშნათ, ყვალა გვარი დაესახელებინათ.

— აქ მტრები მოქმედებენ, რომლებიც გლეხების უკმაყოფილების გამოწვევას ცდილობენ. გამოვარკვიოთ და მოვცხოთ, ვისაც ეკუთვნის, — სთქვა ლენინმა.

ვლადიმერ ილიას-ძე ხშირად იტყოდა ხოლმე — „მოვცხოთ“-ო.

მერმე გზა განვაგრძეთ უფრო შორს, ხოლო სამი საათის შემდეგ, უკან გამოვლისას, ისევ ბოგდანიხაში გავჩერდით. წერილი უკვე მზად იყო. ლენინმა შეინახა იგი ჯიბეში, და მშევიღობა გლეხებს, და ქალაქისაკენ წამოვედით.

ვლადიმერ ილიას-ძემ გლეხების ამ წერილს თავისი შენიშვნები დაუროთ და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას გაუგზავნა.

ლენინის ეჭვი გამართლდა: სოფელში საბჭოთა ხელისუფლების მტრები — კულაკები და ბოროტგამზრახველნი მოქმედებინენ. კულაკების ბუდე აღმოჩენილ და განადგურებულ იქნა.

გაზაფხულზე ვლადიმერ ილიას-ძე თავის დასცენებას ნადირობაში ატარებდა. ვნადირობდით ტყის ქათამსა და როჭოზე. ზაფხულში მეტწილად მღინარეში ვგანაობდით, დაკეტიალობდით ტყეში, დავდიოდით სოკოზე. შემოდგომის დაღვიმისას კვლავ ვნადირობდით როჭოსა და კურდღელზე. ზამთრის ყვალა კვირადღეს ლენინი ავტომარხილით ან თხილამურით სიარულში ატარებდა.

ვლადიმერ ილიას-ძე შესანიშნავი მონაზირე იყო და ნადირობის ყოველ წვრილმანში საუცხოოდ ერკვეოდა. მან იცოდა, თუ როგორ უნდა მიუდგე ამა თუ იმ ნადირს ან ფრინვალს, როგორ მიუახლოვდე მას, რა მომენტში ესროლო და როდის მიუშვა ძალი. მას შეეძლო მზის საშუალებით გაეგნო მიმართულება, არ საჭიროებდა კომბასს. უცნობ ტყიან აღგილებში ლენინი გზას იგნებდა ხეგბის მიხედვით, როგორც ნამდვილი მონაზირე...

ერთხელ ნადირობისას ასეთი შემთხვევა მოხდა. ვლადიმერ ილიას-ძე ფრთხილად მიღიოდა ულრან ტყეში, თოფი მომარჯვებული ჰქონდა. უცერად მის წინ წყნარად, მშვიდად გამოვიდა მელა. ეს იყო მეტად ლამაზი ნადირი, ფუნთუში, ოქროსფრად აბრწყინებული ბეწვით. ვლადიმერ ილიას-ძე, გაოცებული მელას სილამაზით, შეღვა. არ ეს-



როლა, თუმცა მელამ იქვე ახლოს გაუჟარა ნელი ნაბიჯით. მე შორიდან ვუყურებდი ყოველივე ამას...

* * *

როგორც ვთქვით, ვლადიმერ ილიას-ძეს უყვარდა სხვადასხვა ხალხთან გამოლაპარაკება.

— გეთაყვა, გვითხარით, სად არის აქ ახლოს მდინარე?

— ბიჭუნებო, სად გიპოვიათ ამდენი სოკო? გვასწავლეთ ჩვენც!

ასე დაუწყებდა ხოლმე გამოლაპარაკებას ვლადიმერ ილიას-ძე სოფლელებს.

ხშირად ასედაც ხდებოდა: შევითოდა ჩვენი მანქანა რომელიმე სოფელში და ბავშვები ჯგუფად აგვეღვენებოლნენ. ვლადიმერ ილიას-ძე მეტყოდა:

— მოდი, გავაჩეროთ, ჩავისვათ ყმაწვილები.

ვლადიმერ ილიას-ძე გაუღებდა კარს და ეხმარებოდა ბავშვებს, რომ მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. გზაში იგი ეხუმრებოდა მათ, იცინოდა, ეკითხებოდა ათას რამეზე.

— ყოჩალად იყავით! — ეუბნებოდა მათ ლენინი, — ყოჩალად!

ცოტა ხნის შემდეგ გამაჩერებიებდა მანქანას და ეუბნებოდა ბავშვებს:

— ახლა კი გეყოფათ, თორემ გზა დაგენერებათ.

— არა, ძია, არა! ჩვენ სოკოზე ხუთ კილომეტრზეც დავდივარო!

ერთხელ ნადირობისას სადგურ ფირსანოვკასთან შეგვხვდა მოხუცი, რომელიც სოკოზე წამოსულიყო.

ვლადიმერ ილიას-ძე გამოელაპარაკა მას და მიუჯდა გვერდით ბალახზე. ღიღხანს და გულთბილად ისაუბრეს ლენინმა და უცნობმა მოხუცმა. მოხუცი მოხიბლული იყო მოსაუბრით...

— ამბობენ, ლენინი მართავს ჩვენს ქვეყანასო. აი, ის ლენინი აღბათ, შენისთანაა, — სთქვა მან.

* * *

ლენინი ავაღმყოფობის დროსაც კი არ იშლიდა სეირნობას, ნავით ცურაობას. თუ შეხვდებოდა კარგ პარტნიორს, ვლადიმერ ილიას-ძე გატაცებით თამაშობდა ჭაღრაქს. იგი შესანიშნავი მოჰქონდაკე იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებში მეტ უზირატესობას ფიზიკურ გართობას ანიჭებდა, განსაკუთრებით ნადირობას. მისა აზრით, გონებრივი მუშაობისაგან დასასვენებლად ყველაზე უკეთესია ფიზიკური გართობა სუფთა ჰერზე. ავაღმყოფობის დროს იგი ხანდახან მეტყოდა ხოლმე:

— არაფერია, ამხანაგო გილ, მალე მოვჯობინდები, ავდგები ფეხზე და კვლავ ძველებურს გავიხსენებთ! რა კარგია ახლა როჭიშე ნადირობა! არა?

მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძეს აღარ დაცალდა ნადირობა.

თავდასხმა ლენინზე

1918 წელი იდგა. მეტად მღელვარე დღები იყო. საბჭოთა რუსეთში მეტად დაძაბული ცხოვრება მიმდინარეობდა. ეს იყო მსოფლიოში უდიდესი რევოლუციის პირველი წელი.

ჩვენს ქვეყნაში საშინელი შიშილი მძინავი გარებდა. ის-ის იყო დასრულდა თუ არა იმპერიალისტური ომი, სამოქალაქო ომი დაიწყო. მუშები და გლეხები, დალლიონი და დაშვეული, იბრძონები, ფრონტებზე, მკერდით იცავდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს კონტრრევოლუციური არმიებისა და ინტერვენტებისაგან. თეთრგვარდიელები ქურდულად ისროლნენ ბომბს, მათმა მზაკვრულმა ტკიამბ გამოსტაცა რევოლუციის ვოლოდარსკი და ურიცკი.

იმ დღეებში ვლადიმერ ილიას-ძე თითქმის ყოველდღე დაღიოდა ხალხმავალ მიტინგებზე. ეს მიტინგები იმართებოდა ქარხნებში, ფაბრიკებში, მოედნებზე, სამხელო ნაწილებში. ლენინს დღის განმავლობაში ხშირად ორ-სამ მიტინგზე უხდებოდა გამოსვლა.

მიტინგები ღია იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: იმ საწარმოს ჭიშკარი, საღაც მიტინგი მიმდინარეობდა, ფართოდ იყო ხოლმე გალებული ყველასათვის. უფრო მეტი: ჭიშკარზე გაკრული იყო უზარმაზარი პლაკატები, რომლებიც ყველას მოუწოდებდნენ მიტინგზე დასასწრებლად და იუწყებოდნენ — სიტყვას ლენინი წარმოსთქვამს.

ვლადიმერ ილიას-ძის სიცოცხლე ყოველ-

დღე დიდ საფრთხეში იყო. ამ საფრთხეს ის ორკეცებდა, რომ ვლადიმერ ილიას-ძე კატეგორიულად უარს ამბობდა ყოველგვარული მცველის აყვანაზე. თვითონ არასოდეს და რალს არ ატარებდა (თუ მხედველობაში არ შევიღებთ მომცრო ბრაუნიხს, რომელიც ერთხელაც არ გაუსროლია) და მთხოვდა იარალი არც მე მეტარებია. ერთხელ, როდესაც ქამარზე ბუდით ჩამოკიდებული ნაგანი დამინახა, ტებილად, მაგრამ საკმაოდ გადაჭრით მითხრა:

— რად გინდათ ეს იარალი, ამხანაგო გილ? გეთაყვა, მოიშორეთ იგი თავიდან!

მაგრამ რევოლვერს მე მაინც ვატარებდი, თუმცა ყოველმხრივ ვცდილობდი ვლადიმერ ილიას-ძეს არ დაენახა. ნაგანი უბუღოთ ხალათის ქვეშ შემნდა ქამარზი გაყრილი.

იმ საბედისწერო დღეს — 1918 წლის 30 აგვისტოს — მე რამდენჯერმე წავიყვანე ვლადიმერ ილიას-ძე მიტინგზე. ვიყავით ხლებნაია ბირჟაზე, საღაც შესდგა მიტინგი. უამრავი ხალხი მოაწყდა. ვლადიმერ ილიას-ძემ ჩვეულებისამებრ ვრცელი და მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მტრები უკვე აქ, ხლებნაია ბირჟაზე, ლენინს კვალდაგვალ დასდევდნენ და თავდასხმას უმზადებდნენ. ეს გამოირკვა



შხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, გამოძიებაზე.

ექვს საათზე, საღამოს, ხლებნაია ბირეი-დან ჩვენ წავედით ყოფილ მიხელსონის ქარხანაში, სერბულოვის ქუჩაზე. ამ ქარხანაში წინათაც კუფილვართ რამდენჯერმე.

როდესაც ეზოში შევეღით, მიტინგი მიხელსონის ქარხანაში ჯერ არ იყო დაწყებული. ლენინს ელოდებოდნენ. თავი მოეყარა რამდენიმე ათას ქალსა და კაცს.

ვლადიმერ ილიას-ძე ჩავიდა მანქანიდან და ჩეარი ნაბიჯით მიაშურა ქარხანას. მე შემოვაბრუნე მანქანა და იქვე, ეზოდან გასავლელში დავაყენე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მომიახლოვდა მოქლე უაკეტიანი ქალი, ხელში პორტფელი ეჭირა. იგი მანქანასთან გაჩერდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გამხდარი, მუქი აღზებული თვალებით, იგი არასავსებით ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სახე ფერმერთალი ჰქონდა, ხმა კი, როდესაც დამელაპარაკა, ონბავ უკანქალებდა:

— რა, ამხანაგი ლენინი მოვიდა, არა? — იკითხა მან.

— არ ვიცი, ვინ მოვიდა, — ვუპასუხე მე. მან ნერვიულად გაიცინა და სთქვა:

— როგორ? თქვენ შოთერი ხართ და არ იცით, ვინ დაგყავთ?

— მე რა ვიცი? რომელიდაც ორატორია. განა ცოტანი დადიან, ყველას ხომ ვერ ვიცნობ! — ვუპასუხე მშვიდად.

მე ყოველთვის მტკიცედ ვიცაგდა — ერთ-ერთს: არასოდეს არავისათვის არაფერი მეთქვა, თუ ვინ მოვიდა, საიდან მოვიდა და ან სად წავალთ შემდეგ.

მან ტუჩები დაღმიჭვა და გამცილდა. მე დავინახე, თუ როგორ შევიდა იგი ქარხნის შენობაში. გავიფიქრე: „რას ჩამაცივდა ეს ქალი? მერედა, როგორი უინიანი, კერძი!“ მაგრამ, რადგან იმხნად ყოველთვის ბლომად იყვნენ ისეთი ცნობისმოყვარები, რომელთაც სურდათ გაეგოთ, თუ ვინ მოვიდა, ისე ბლომად, რომ ზოგჯერ მანქანის გარშემო აუარებელი ხალხი მოიყრიდა ხოლმე თავს, ამიტომ მაინც დამაინც განსაკუთრებული უურადლება არ მიმიქცევია ამ ქალის ქცევისა და სიტყვებისათვის.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ქარხნიდან გამოვიდა პირველი ჯგუფი დიდალი ხალხისა — უმთავრესად მუშები — და თითქმის მთელი ეზო აივსო. მივხვდი, რომ მიტინგი დამთავრდა და საჩეაროდ მოვმართე მანქანა. ვლადიმერ ილიას-ძე ჯერ არ ჩანდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქარხნიდან



თავდასხმა ვ. ი. ლენინზე 1918 წლის 30 აფერსტოს.

მხატვარი ვ. სოკოლოვი

ჭიდმალი ხალხის ახალი ჯგუფი გამოვიდა. წინ ვლადიმერ ილიას-ძე მოღილა. მე ხელი ძოვიდე საჭეს და გავემზადე, რა წამშიც საჭირო იქნებოდა, მანქანის წასაყვანად.

ვლადიმერ ილიას-ძე მოღილა მანქანისა-ენ და გაცხოველებული ელაპარაკებოდა მუშებს. ისინი ეკითხებოდნენ მას ათას რა-მეზე, ლენინი გულთბილად, დაწვრილებით უპასუხებდა ყველაფერზე და თავის მხრივ აძლევდა რალაც შეკითხვებს. ძალიან ნელა უახლოვდებოდა იგი ავტომობილს. ორ-სამ ნაბიჯზე ავტომობილიდან იგი შედგა და აპირებდა შემოსვლას. ავტომობილის კარი ვიღაცამ გაუღო.

ვლადიმერ ილიას-ძე ამ დროს ორ ქალს ელაპარაკებოდა. ეს საუბარი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ვლადიმერ ილიას-ძის ორივე გვერდით კიდევ ორი ქალი იდგა. როდესაც ვლადიმერ ილიას-ძემ დაბირა უქანასკნელი ნაბიჯის გადადგმა მანქანის საფეხურისაკენ, უეცრად გაისმა გასროლა.

მე ამ დროს ვლადიმერ ილიას-ძეს ვუყურებდი. მყისვე გავიხედე, საიდანაც სროლა მომესმა, და დავინახე ის ქალი, რომელიც ამ ერთი საათის წინათ მეკითხებოდა ლენინის შესახებ. იგი იდგა მანქანის მარცხნა მხრი-

დან, წინა ფრთასთან, და უმიზნებდა ვლადი-მერ ილიას-ძეს გულში.

კიდევ გავარდა რევოლვერი. მე სწრაფად ჩავაჭრე მოტორი, ვინგრე ქამრიდან ნაჭინდა გადავხტი იმ ქალისაკენ. მას ხელი გაჭიმული ეჭირა და ემზადებოდა შემდეგი გასროლი-სათვის. მე დავუმიზნე მას თავში. მან თვა-ლი მოჰკრა ამას, ხელი აუთროთოლდა და იმ წამსვე გაისმა მესამე გასროლა. მესამე ტყვია, როგორც შემდეგში გამოირკვა, მოხ-ვდა ლენინთან შდგომ ერთ-ერთ ქალს მხარ-ში.

კიდევ ერთი მომენტი და მეც გავისროლი, მაგრამ იმ არამხადამ დაგდო ჩემს ფეხებ-თან თავისი ბრაუნინგი, მიტრიალდა და შე-ვარდა ხალხში გასასვლელის მიმართულე-ბით. ირგვლივ ბლობად იყო ხალხი და ვერ გავბედე სროლა: შეიძლებოდა ვინმე მუშა-თავანი მომეკლა.

მე გავჭინდი მისკენ და რამდენიმე ნაბიჯი გავირბინე, მაგრამ ამ დროს გამიელვა აზრ-მა: „ვლადიმერ ილიას-ძე მარტოა... რა მო-უვიდა მას?!“—და შევჩერდი.

(დაგრძელება იქნება)

თარგმანი ზ გვირჩისა



ვახარებს ზღვის შემოხედვა,
ლურჯი თვალების ციმციმი.
ტალღები ტალღებს მოსდევენ
მწყობრად და წყნარი სიცილით.

მოღილა, მოჩურჩულებენ,
გესურს მივაგებოთ გულები.
სად ჩნდება, სად იბადება
ტალღა ამდენი, ულევი!

ვეპატიუებით ნაპირზე,
მოსულებს ლამის ვეხებით,
ვცელქობთ და ცელქმა ტალღებმაც
სულ დაგვისველეს ფეხები.

ბარემ შეეცარდეთ ამ წყალში,
რა საბანაო დარია!

ზღვა სუნთქვას, სივრცე ვეება,
ცელქობს და მაინც წყნარია.

მაგრამ გვინახავს ჩვენ მისი
მრისხანება და დუღილი,
გრიგალის ფრთებით დაძრული
ზვირთების მძაფრი ქუხილი.

დღეს არ წვიმს, ალარც ქარია,
რა საბანაო დარია!

ზღვა სუნთქვას, სივრცე ვეება,
ცელქობს და მაინც წყნარია.

ბორის გეთაელი

გიორგი ჭალადიდელი

საქართველო
მთავრობის მუნიციპალიტეტი

ძველად ჩვენი ქვეყნის ყოველ ქუთხეში როდი იყო სკოლა. ბავშვს სასწავლებლად შორს გზავნიდნენ მშობლიური სოფლიდან, რაც ყმაშვილში ნაველს იწვევდა. ეს გან-შეკილება შეუდარებელი გულშრფელით არის გადმოცემული ლექსში „მოგონება“, რომელიც ყველა თქვენგანს უსწავლია და უძლერია.

„მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ მომამშადეს, ძაშინ ანბანი მომცეს შე ხელში და შორსა გზასა შე გამამგზავრეს. ვხედავდი ძინდვრებს, რომ გმორდებოდი, ხაცნობ ბაღებაც ვეთხოვებოდი, დალონებული მწარედ ვსტიროდი, მაგრამ არავის ვებრალებოდი“.

ეს ლექსი გიორგი ჭალადიდელს ეკუთვნის. გიორგი ჭალადიდელი გასული საუკუნის გაძოხენილ ქართველ მთავაწეთა — ილიასა და აკაკის უმცროსი თანამედროვეა. იმ დროს დაბექავებული სამშობლო ქვეყნის ტკივილები გულს უკლავდა პატრიოტ პოეტს. სამშობლო ქვეყნის აყვავება და გახარებისათვის პოეტი უდიდეს მსხვერპლისაც კი გაიღებდა. ეს გრძეობა გამოხატა მან ლექსში „სიმღერა გადახევეშილისა“. პოეტი წერდა:


„გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ სამშობლოს
თუ კი მოვესწრებოდე!“

სამშობლოსათვის თავდადებას, მის უსაზღვრო სიყვარულს, მისი ბრწყინვალე მომავლის მოსამავრებლად მსხვერპლის გაღებისათვის მზადყვინას გამოხატავენ პოეტის ლექსები: „სიზმარი“, „გორდის მთაზე“, „მწერლისადმი“ და სხვა.

ჭალადიდელის შემოქმედების ერთი მთავარი ნაწილი სოციალურ საკითხს აქვს დათბობილი. პოეტს გულშრფელად უყვარდა მშრომელი ხალხი, აფიქრებდა მისი მომავალი, მისი სკე-ბერი. ეს სიყვარული გამოხატა მან ლექსში „ფაცხა“. პოეტი წერდა:

„მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა კორტოხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წქნელით ჩახლართული“. ბ.

ბ. ჭალადიდელი (გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაიძე) დაიბადა 1847 წელს სოფელ ფერსათს (იმერეთში) დედის სოფელში. მამამისი სოფელ ჭალადიდის მკვიდრი იყო. 1859



წელს გიორგიმ სწავლა დაიწყო ქუთაისის გიმნაზიაში, რამელიც 1869 წელს დაამთავრა. სხვადასხვა დროს იგი ავადმყოფობდა, რაც ხელს უშლიდა სწავლაში. 1873 წელს გიორგიმ დაამთავრა მამინდელი პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელი და მიიღო ოფიცრის ჩინი.

ჯერ კიდევ 1869 წელს დაიწყო გ. ჭალადიდელმა გაზეთ „დროებაში“ თანამშრომლობა. შემდეგ მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. პოეტმა თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი რუსეთში გაატარა, სამხედრო სამსახურში. უკანასკნელად იგი 30-ე საარტილერიო ბრიგადის მეორე დავიზიონის ხელმძღვანელობდა.

გ. ჭალადიდელი გარდაიცვალა 1898 წელს ქალაქ მინსკში. იგი ჩამოასვენეს და მშობლიურ სოფელ ჭალადიდში დაკრძალეს.

1940 წელს 7 ივლისს საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით მისი ნეშტი სოფელ ჭალადიდიდან ქალაქ ცხაქააში გაღმოასვენეს და ქალაქის ბაღში დასაფლავეს.

წელს ივნისში პოეტის დაბადებიდან ასი წელი შესრულდა.

დაეთ შემოთხევა



მურმან ლეგენდა

როგორც ქლდეზე გადახრილი
ჯონქა ირმის დაძახილი,
დარჩხა და გაშალა
ნაძვნარებში ხმა საყვირის,
და რიურაჟი წამოფრინდა
ტორილევით ფრთაგაშლილი.

გამარჯვებათ, გამარჯვებათ,
შშმობლიურო ჭალაკებო!
ჭალაკებში საგანგებოდ
ანაგებო ბანაკებო!..
გამარჯვება სიცოცხლეო
და სამშობლის ცავ ნათელო!

რას მიქვია დასვენება,
განა მართლა დავიღალეთ!
აგერ, ჩვენმა მთამსვლელებმა
მთაზე დროშა გაიტანეს
და კვლავ თვალშინ გადეშალათ,
ისევ ჩვენი კარგი მხარე...

რას მიქვია დასვენება,
ასე უქმად გაჩერება!
შეხე, ძველი ციხის გუმბათს
შევარდენი თავს ევლება:
იმ ციხესთან წაიჩოქეს
თურქებმა და სპარსელებმა.

წამო, ვუთხრათ ბებერ ციხეს
ახალგაზრდა სიმღერებით,
რომ სტალინის ბიჭები ვართ
და თვითონ ვართ ციხეები!
წამო, მისმაც შეგვაურეოლოს,
ვუთხრათ ჩვენი სიმღერებიც!

ბიჭო წამო, პურის ძნები
სერ-სერ დგანან ასობითა,
გამოგუძლვეთ გზაზე ურმებს,
დაესტებეთ ქვეყნის ნაშრომითა,
გავახაროთ გლეხიკაცი
ჩვენი ყმაწვილქაცობითა..

შეხე, დილა ცად მიფრინავს
ტორილივით ფრთაგაშლილი,
როგორც ქლდეზე გადახრილი
ჯონქა ირმის დაძახილი,
გვესის, გვიხმობს მარადიულ
სიცოცხლისკენ ხმა საყვირის!

გამარჯვებათ, გამარჯვებათ,
ქორდებო და ჭალაკებო!
ჭალაკებში საგანგებოდ
ანაგებო ბანაკებო!
გამარჯვება სიცოცხლეო
და სამშობლის ცავ ნათელო!





ზღაპარი



რო დროს აღმოსავლეთის
ერთ ლამაზ და მშვენიერ
ქვეყანას გონიერი და ჭრია-
ნი მეფე განაგებდა. მას სამი
შეილი ჰყავდა.

როცა მეფე დაბრუდა, მოისურვა თავისი
სამეფოს მძიმე საჭე ჩაებარებინა იმ მემკ-
ვიდრეთაგანისათვის, რომელსაც შესაფერი-
სი უნარი ჰქონდა.

ერთ დღეს მან მოიხმო თავისი შვილები
და უთხრა:

— საყვარელო შვილები, ხედავთ, მამა
თქვენი მოხუცდა და აღარ შეუძლია ქვეყ-
ნის მართვა. მე უფრო ადრე ვიტყოდი უარს
შეფობაზე, რომ აღსრულებული მენახა ჩე-
მი გულის წადილი, რომელიც მრავალ წელ-
თა განმავლობაში მოსვენებას არ მაძლევს.
ახლა რომელი თქვენგანიც გონივრულად
გადასწყვეტს ჩემ წადილს, ის ჩაიბარებს
შეფის ტახტს და უხელმძღვანელებს ქვეყა-
ნას.

— დიდხანს იცოცხლოს მამაჩვენმა, წმი-
დაა მისი ნება-სურვილი ჩენთვის. რა არის
ისეთი წათილი, რომლის შესრულებაც ვერ
შეძლო მისმა დიდმა გონებამ!

— აა, ხომ ხედავთ ამ უზარმაზარ ბე-
ლელს, რომელიც დიდი ხანია ამიშენებია,
ჩემი წათილია ეს ბელელი! ამევსო ისეთი
სასარგებლო რამეთი, რითაც ჩემს ხალხს
გავაძენირებდი.

ეგ ბელელი ჯერჯერობით ცარიელი
რჩება.

და ახლა რომელ თქვენგანსაც შეუძლია
ეგ ბელელი პირამდე ააგსოს ქვეყნისათვის

ქველაზე სასარგებლო რამეთი, დე, ის გა-
დეს ლირსი მეფობისა.

შიიღეთ ჩემი ქონებიდან რამდენიც გულე-
დეთ ცალ-ცალკე, იარეთ ქალაქიდან შალაჭ-
ში, ქვეყნიდან ქვეყნაში, იარვეთ ის, რაც
მე მსურს — ქველაზე სასარგებლო რამ აა-
ქვეყნად, და აავსეთ ბელელი იძით.

გაძლევთ სამჯერ ორძოც დღეს ამისა-
თვის.

შვილები მამას ხელზე ეამბორნენ და
გზას გაუდგნენ.

სამჯერ ორმოცი დღე მათ იმოგზაურეს
ქალაქიდან ქალაქში, შემოიარეს ქვეყნები,
ხახეს მრავალი აღამიანი, გაეცნენ სხვადასხ-
გა ხალხის აღათ-წესს, დახიშხულ დროზე
დაბრუნდნენ შინ და წარადგნენ მამის წი-
ნაშე.

— ეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, ჩე-
მი შვილებო, ნეტავი, იპოვეთ და მოიტა-
ნეთ, რაც ქველაზე სასარგებლო აღამია-
ნისათვის ამ ქვეყნად?

— დიახ, ვიპოვეთ, საყვარელო მამავ! —
უპასუხეს შვილება.

მამა წამსვე წამოდგა, გაიყოლა შვილები
ბელლისაენ. იქ შეკრებილიყნენ სასახლის
ქველა მსახურნი და მრავალი ხალხი.

მეფემ გააღო ბელლის კარი და დაუძახა
უფროს შვილს.

— რით აავსებ ამ უზარმაზარ ბელელს,
საყვარელო შვილო? რა არის ამ ქვეყნად
ქველაზე სასარგებლო აღამიანისათვის?

უფროსმა შვილმა ჯიბიდან ამოიღო ერ-
თი მუჭა ხორბალი და მამას გაუწოდა.

— პურით ავავსებ ამ დიდ ბელელს,
ძვირფასო მამავ. პურზე უფრო საჭირო ამ
ქვეყნად არა არის რა ვის შეუძლია უბუ-
როდ ცხოვრება? ბევრი ვიმოგზაურე, ბევ-
რი რამ ვნახე, მაგრამ პურზე საჭირო და
აუცილებელი ვერაფერი ვიპოვე.

შემდეგ მამამ მოუხმო შუათანა შვილს.

— რით აავსებ ამ უზარმაზარ ბელელს,
საყვარელო შვილო? რა არის ამ ქვეყნად
ქველაზე სასარგებლო აღამიანისათვის?

შუათანა შვილმა ჯიბიდან ამოიღო ერთი
მუჭა მიწა, გაუწოდა მამას და უთხრა:

— მიწით ავავსებ ამ უზარმაზარ ბელელს,
ძვირფასო მამავ. ამ ქვეყნად მიწაზე უფრო
სასარგებლო არა არის რა! პურს ხომ მიწა
გვაძლევს. უმიწოდ ვის შეუძლია ცხოვრება?
ბევრი ვიმოგზაურე, ბევრი რამ ვნახე, მაგ-
რამ მიწაზე სასარგებლოს ვერაფერს შევ-
ხდი.

ბოლოს მამამ მოუხმო უმცროს შვილს.

— რით აავსებ ამ უზარმაზარ ბელელს,

საყვარელო შვილო? რა არის ქვეყნად ყველაზე სასარგებლო აღამიანისათვის?

ამ სიტყვებზე უმცროსი შვილი მტკიცებაზე ითვალისწინდა ბელელთან და შევიდა, ჯიბიდან ამოილო პატარა სანთელი, ტალ-კვესით აანთო აბედი, შემდეგ მოუკიდა სანთელს. დამსწრეთ ეგონათ, მას სურს სანთლის სინათლეზე უფრო კარგად გასინჯოს ბელელი და მისი სიდიდეო.

— აბა მითხარი, შვილო, რით აავსებ ამ ბელელს? — მოუთმენლად შეეკითხა მამა შვილს.

— სინათლით ავაგსებ ამ უზარმაზარ ბელელს, ბრძეო მამავ, მხოლოდ სინათლით. ბევრი ვინეტაალე, მრავალი ქვეყანა შემოგარე, ზაგრაშ სინათლეზე აუცილებელი და საჭირო ვერაფერი ვპოვე. სინათლეა ყველაზე სასარგებლო რამ ამ ქვეყნად. უსინათლოდ მიწაზე პური არ მოვა, სინათლე თუ არ იქნა, დედამიწაზე სიცოცხლე არ იქნება. ბევრი მოგზაურობისა და მრავალი ქვეყნის შემოვლის შემდეგ დავრჩმუნდი, რომ ცოდნის, მეცნიერების, სწავლა-განათლების სინათლეზე მეტი ამ ქვეყნად არაფერია აუცილებელი. მეცნიერების სანათლით შეიძლება მხოლოდ ქვეყნის მართვა.

— იცოცხლე, შვილო, — სთვავა გახარებულმა მამამ, — შენ ლისი ხარ ტახტისა და მეფობის, რაღაც სინათლით, მეცნიერებით, ცოდნით და სწავლა-განათლებით გსურს. შეაირალო შენი ქვეყანა.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს ჭაბუკ მეფეს! — შესძახეს სასახლის მსახურებმა და მთელმა ხალხმა ერთხმად.

თარგმანი სომხურიდან პრტ. დავითიანისა



ა გ ე ტ ი კ ი ს ა ა კ ი ა ნ ი

ნიჭირი სომხეთი ლირიკოსი ავეტიკ ისააკიანი დაიბადა 1875 წელს. პირველდაწებითი განთლება პოეტმა ალექსანდროპოლიში (ახლანდელ ლენინგრადში) მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა გევორქიანის სახელობის აკადემიაში, სადაც მაშინ თავმყრილი იყვნენ გამოჩენილი სომეხი პროგრესული მოღაწენი.

ა. ისააკიანი ბავშვობიდანვე დაწაულა ლექსების წერას, 18 წლის ახალგაზრდა უკვე ცნობილი პოეტი ხდება. ამ პერიოდში დაწერილ მის ლექსებს დღესაც არ დაუკარგავს ცხოველ-მყოფელობა.

ახალგაზრდა პოეტმა იმოგზაურ ევროპში, უცხოეთიდან დაბრუნებული (1895 წ.) ა. ისააკიანი აღშევითებულ იყო ის უსამართლობით, რაც კოლეგიად ქცეულ სომხეთში შევიზნდა. პოეტი შეუპირვებად იმაღლებდა ხმას და გამოიყენებოდა ილაშქრებიდან შეფის რუსიული კორუსის წინააღმდეგ, რასთვისაც ის დაპატირეს და გადასახლეს თდესაში.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ა. ისააკიანი ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ ცერსა და სულის სიმშვიდეს ვერ მოულობს, ამ ხანებში ისააკიანი მოგზაურობს რუსეთში, ხადაწევდოლოში.

1908 წელს ივი თბილისში მეჭდავს თავისი შესანიშნავი ლექსების კრებულს „სიმღერები და იარები“. ამავე წელს მას პატიმრებენ და ათავსებენ მეტების ციხეში, საღაც იმ ხანებში დაპატიმრებული იყო მისი თანამოძმე და მეგო ბარი თვანებს თუმანიანი.

1909 წელს ისააკიანს ათავისუფლებენ ბატიმრობიდან; ის სამკურნალოდ და დასასვენებლად მიემზადება თავის სამშობლო სოფელში, სად აც წერს თავის განთქმულ პოემას „აბულ-აფა“

შაჲარის". პოემაში პრეტენზი შეაფილდ და წათლა დ გაშორატა უსაზღვრის სიძულვილი შეფის წყობილებისადმი. პოემა „აბულ-ალა მაჲარი“ თარგმნილია ცხრა ენაზე, მათ შორის ქართულადაც.

1910-1911 წლებში ავ. ისაკიანი იძულებული ხდება დატოვოს ამიერკავკასია და ქვლავ საზღვარგარეთ გაიხიზნოს. იგი დიდნანს ცხოვ რობს ციურისზი, პარიზში, ვენეციაში, ბერლინში, უნგრეგაში... ეცნობა და უკავშირდება რუსეთიდან გადახვეწილ გამოჩენილ პოლოტიკურ მოღვაწეებს.

იქთომბრის რევოლუციას ავტოკ ისაკიანი ალფრონოვანებით შეხვდა და 1926 წელს სამუდამოდ დაბრუნდა საშობლოში. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიფურჩქნა მისი დიდი ნიჭი, და პოეტს ფართო შესაძლებლობა მიეცა, კიდევ უფრო მეტად გაეშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა მშრომელთა საკეთოლდღეოდ.

პარტიამ და ხელისუფლებამ მაღალი შეფა სება მისცეს ავ. ისაკიანის მუშაობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ავ. ისაკიანი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სომხეთის საბჭოთა მწერლების უკანასკნელ ყრილობაზე ავ. ისაკიანი არჩეულ იქნა საბჭოთა სომხეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ავ. ისაკიანი არის სომხეთის სსრ აკადემიის ნამდვილი წევრი.

არტ. დავითიანი

ა ს ე ც ხ დ ე ბ ა...

ძეგლი დროის ამბავი



ატონს ვაჟი შეეძინა. გლეხებს, ვისაც რა შეეძლო, ძღვენი მიჰქონდათ მასთან და ვაჟის შეენას ულოცავდნენ. ერთმა გლეხმა ცოტა ღვინო იშოვა, ცოლს ბატი შეაწვევინა და ბატონს ძღვნად წაულო. შინ არაფერი ეჭამა და გზაში შიმშილმა ძლიერ შეაწუხა. ვერ მოითმინა, ბატს ფეხი ააცალა და შეკამა. ბატონმა შემწვარი ბატი ცალფეხა რომ დაინახა, არ ეამა და გლეხს შეკითხა:

- ამ ბატს ცალი ფეხი რამ მოსტაცა?
- არაფერმა... ბატი ცალფეხა იყო.— მიუგო გლეხმა. — ნუთუ არ იცით, ბატონი, რომ ცალფეხა ბატებიც არსებობენ?!
- არა... ასეთი ბატი მე არ მინახავს,— დაეჭვებით სთქვა ბატონმა და თანაც ბრაზობდა, ეს გლეხი მოტყუებას როგორ მიბედავსო.

— თუ არ გჯერათ, ფანჯარაში გაიხედეთ, ბატონი, აი, მდინარის პირას დგანან ბატები და დააკვირდით.

ბატონმა ფანჯარაში გაიხედა: მართლაც მდინარის პირას ცალ ფეხზე იდგნენ ბატები და ეძინათ. ამ დროს ბატებთან ვიღაც გლეხი მიიჭრა, ჯოხი სცემა მათ და წინ გაირეკა.

- რა ტყუილი გცოდნია. იმ ბატებს ყველას ორ-ორი ფეხი აქვს!
- ასეც ხდება, ბატონი: იმ ბატებს რომ ჯოხი სცემეს, ისეთი ჯოხის ღარტყმა რომ თქვენ გკადრონ, მერწმუნეთ, ორი ფეხის ნაცვლად ოთხი გამოგებებათ! — ლიმილით მიუგო გლეხმა.





კახტანების სინახული

მოთხოვა

მოხუცი მთაწმინდაზე ასულიყო და ობილის ხედის მზერით სტკებოდა. როცა ივალწინ გადაშლილ სანახაობის მზერით გული იჯერა, ერთხელ ჭიდევ მოავლო თვალი დიდუბიდან ნავთლუღიძე საოცარი სიმყიდროვით დასახლებულ, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წელიწადში უცნაურად გაზრდილ ქალაქს და პირი იბრუნა ბარისაკენ.

მთავარი, კიბეებიანი ხეივნით სტალინის მონუმენტისაკენ აიღო გეზი. კარგი ხანი დასკირდა მოხუცს, სანამ გაშლილ მოედანს მიაღწევდა, სადაც კვარცხლებეკე სტალინის მონუმენტი დგას. მოედნის ირგვლივ ჩამწერივებული სკამები ცარიელი იყო. ჯერ ეგვის საათიც არ იქნებოდა, ხალხი კი შვიდრვა საათის შემდეგ ეტანება იქაურობას. მოხუცმა თვალის პირველ მოვლებისას ბავშვი დაინახა. უმაღვე მისკენ გაემართა ნელი ნაბიჯით. ფერდობის ნაპირას, შალალი ბუჩქის წინ გრძელი სკამი იდგა, ბუჩქის ძირას ბავშვი იჯდა, მუხლის თავებზე დაწყობილ ხელებს შუბლით ებჯინებოდა. ბავშვს უთუოდ ეძინა, რადგან მიახლოებული მოხუცის ფეხის ხმას მისი ყურადღება არ მიუქცევია. მოხუცი ბავშვს დაავირდა. მისი სახის ნაკვები იდუმალმა ღიმილმა შეარხია. ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე. გავიდა რამდენიმე წუთი. მოხუცი ბავშვს დროდადრო ირიბად გადახედავდა და ულვაშებში გაეღიმებოდა. უცებ. ბავშვი, თითქოს იგრძნო უცხო კაცის სიახლოვეო, შეკრთმომით წამიწია, ნამდი-

ნარევი თვალები წამით აქეთ-იქით მიმოაცეცა. სინათლეზე უცებ ვერაფერი გაარჩია, ძაღრამ რაჭამს სკამზე. მჯდომი შენიშნა და მის მოლიმარ სახეს დააკვირდა, მყის ზეზე წამოიჭრა, თავი შორცხვად დახარა და ხმა-დაბლა, მაგრამ მყაფიოდ წარმოსთქვა:

— მასწავლებელო!!!

— გამარჯობა, შენი! — ლმობიერად გაულიმა მასწავლებელმა.

ვახტანგი დარცხვენილი მიიჭრა მასწავლებელთან და მიესალმა.

— დაჯერი.

ვახტანგი მორიდებით ჩამოჯდა სკამზე.

— რა ამბავია, მარტო რათა ხარ? ხომ არავის უცემიხარ?

— არა... მასწავლებელო...

— მაშ... ხომ არ გაწყენინეს?..

ვახტანგმა წამით თვალი ჰეკიდა მასწავლებელს და უმაღვე დახარა თავი. ვახტანგის გამოხედვამ მასწავლებელს ეჭვი აღუძრა.

— მაშ... გაწყენინეს?!

— არა... მასწავლებელო. — ვახტანგმა მცირე ყოყმანის შემდეგ ნათევამს ბორიძიკით დაუმატა: — მე... ვაწყენინე...
— ყველას?! განა ისეთი რა ჩაიდინე?

— არა... მარტო გივის...

— გივის?! ყველაზე ახლობელ და საყვარელ მეგობარს? როგორ მოხდა!

მასწავლებლის შენიშვნაზე ვახტანგმა კიდევ უფრო დახარა თავი.

სდუმდა, ყოყმანობდა, ვერ გაებედნა საი-

დუმლოს გაშელა... არ იცოდა, როგორ და-
ეწყო...

ძალავლებელი გრძნობდა, რომ საჭირო
იყო რადეხიდე უძნიშვნელო ბიძგი, რომ
ვახტანგის გული „ადგილიდან დაეძრა“.

— განა რა ძოხა? სთქი ვახტანგ! ძარ-
თლაც ეკ შენთვის ზომ მარტო ხატვა-ხაზეის
ძალავლებელი არა ვარ?

ვახტანგი ძოულოდხელად გათამამდა.

— იცით... მე სწორედ თქვენთვის ძინდო-
და მეკითხა რჩევა...

— თუ აგრეა, მეც... აქ ვარ! — და მას-
წავლებელა ხელი ზამაქერებად ძოუთა-
იყენა ჩხარზე.

ვახტანგი კიდევ უფრო გათამამდა.

— ეს აძავი საძი თვის წინათ დაიწყო...
ვრთ საღამოს, ჩვეულებისაქმრ, გივი და
ვანო მეწვინენ. ძათი მოსვლა გაძინარდა.
სანაძ ჟევიაზაუქებდი, თვითონ შეძოიკრხენ
ოთახში. დაგსხედით. რადენჯერძე ვთხოვე,
ბაგრამ პალტო არც ერთხა არ გაიხდა, შა-
ლე წაგალთო. საუბარმა გაგვიტაცა. გივის
ძონ იცხობთ? ისეთ ახირებულ საკითხებს
წამოჭირის ხოლმე, რომ არ ჟეიძლება კაპათი
და ალიაქოთი არ გამოიწვიოს. წასვლის წინ
გივიძ „საქართველოს ისტორია“ ძოხოვა,
თუმც იცოდა, რომ ეს წიგნი შარშან, დე-
კებერში გარდაცვლილ ბიძის ნახუქარი
იყო, მოწინებით ვიხსახვდი და გასანათხოვ-
ოებლად არ მემეტებოდა. საერთოდ წიგნის
გახათხოვება არ ძიებარს. გივის ჩემი უარი
სიცილად არ ეყო, არ დაიჯერა, რაღაც ახი-
რებულად ჩაბაცივდა... ვერ წარმოედგინა,
თუ ახლო მეგობარს წიგნს დავუჰერდი.

შეგატყე ეწყინა, მაგრამ ცდილობდა წყე-
ნა არ გაექცდავნებინა. მეც უხერხულად ვი-
გრძენი თავი. არასოდეს გივისთვის არაფერ-
ზე უარი არ მითქვაძს, რადგან გივისაც ჯერ
ჩემთვის ისეთი არაფერი უთხოვნია, რომ
შესრულება გამჭირვებოდეს...

წასვლის წინ გივიძ ნაძალადევი სიცილით
მითხრა: — ბიჭი არ ვიყო, თუ ის წიგნი
ხელში არ ჩავიგდოო. მეც უსმობით, არ-
ხეინად მივუგე. — ეცადე-მეთქი!


მარტო რომ დავრჩი, დიდხანს ვეთათბი-
რებოდი ჩემს თავს. ვინ იყო ჩვენს შორის
მართალი — გივი თუ მე? რასაკვირველია,
მეგობრულ სიყვარულს ვერაფერი შეედრე-
ბა. მეგობარი თუ დაკარგე, ძნელადღა აინაზ-
ლურებ ამ დანაკარგს, წიგნი კი... თითქო
ასეა, მაგრამ როცა დაუკვირდები, საქმე საქ-
მეზე მიდგება, ადვილად ნათქვამს ადვილად
ველარ შეასრულება... წიგნიც ხომ მეგობა-
რია! ამითოდა ვიმხნევებდი თავს. არა, ეს რა-
ღაც გაუგებრობა იყო... თავიდანვე ისე და-

ვიწყეთ... ჯერ ხუმრობით ვუთხარი უარი,
მერე კი „პრინციპი დავიცავი“... არა, თუ
მეგობარია, ისიც უნდა შესულიყო ჩემს
მდგომარეობაში... რატომ უნდა სწავლადა?

იმ წიგნზე გულმოსული, ჩემდაუნებუ-
რად, კარადას ვეცი... საღაც მეგულებოდა,
ხელი მოვაფათურე, მაგრამ... „საქართველოს
ისტორიას“ ერთი მოსნავით ვერ მივაგენი.
წიგნების ერთი წყება გაღმოვალავე, შემ-
დეგ მეორე... სათითოოდ გაღაესინჯე ყველა
წიგნი, მაგრამ ამაორ. „საქართველოს ისტო-
რია“ უკვალოდ გაძერალიყო... უმალ... ეჭვი
გივიზე... ავიღე. ყველაფერი დაწვრილებით
გავიხსენე, წარმოვიდგინა. ვცდილობდი მეხ-
სიერებაში აღმედგინა — რას ვაკეთებდი გი-
ვის და ვანოს მოსვლამდე... როგორ შემოც-
ვივლენ ისინი ოთხში, გამასხენდა... რომ
ორივეს პალტო ეცვა... როცა გივი მიღიოდა,
მისი პალტო ცალ მეტა გამოსხეს თითქოს არაბუ-
ნებრივად იყო გამობერილი.

იმედი მაინც არ დამიკარგავს... წიგნის
ქებნამ ღამის ორ საათამდე შემიყოლია, მა-
მაჩემს რომ არ დავეტუქს, ალბათ, გავათე-
ნებდი. დილით აღრე ავდექი, ისევ მივიძ-
მოვიძი „საქართველოს ისტორია“, მაგრამ
ამაორ. საშინლად მეწყინა. სკოლაში ამხანა-
გებს თვალში ეცათ ჩემი დაღონება. ჩამაცივ-
ლენ. კითხვებით უურები გამიჭვედეს.
იძულებული ვიყავი ზოგიერთისათვის გამე-
მხილა ჩემი სადარდელი... ერთმა სოქვა: —
დღეს დილით მე და გივიძ ერთად გავიარეთ
ბუკინისტონ, გივიძ შარშანდელი სახელმძ-
ღვანელოები გაჰყიდაო.

ელდა მეცა. ახლა კი დავრწმუნდი, რომ...
გივიძ, გუშინ როგორცი დრო იხელთა (მახ-
სოვს, ოთხიდან ორ-სამჯერ გავედი კიდეც)



„საქართველოს ისტორიას“ მიაგნო და...
დღეს ჯიბრზე, ჯავრის ამოსაყრელად... გა-
ჟიგიდა.

გაეცეთილის დაწყების წინ გივი შემხვდა
თუ არა, გამესუმრა — დღეს რა გუჩხაზე
ხარ, „საქართველოს ისტორიას“ არ მათხო-
ვებო?.. რა მოგვიდა... ისე უფროთხილდები
თოთქო... მეათე საუკუნის ხელნაწერი იყო-
სა!..

მე მწყრალად გადავხედე. ვიფიქრე გამო-
ლმა მედავება-მეთქი, ველარ მოვითმინე და
მივახალე: — რაღა გათხოვო!... შენ უკვე მო-
გისწრია იმ წიგნის მოაპრვაც და გაყიდვაც...
გივის გაეცინა... ეგონ, ვეხუმრებოდი.

— არ გეხუმრები! — მივუგე მწყრალად.

როცა დარწმუნდა, რომ სერიოზულად
ვდებდი ბრალს, შევატყე, ფერი ეცვალა, სა-
შინლად ეწყინა...

მე ჩემსას არ ვიშლიდი და ვუთხარი:

— თუ დამიმტკიცებ, რომ შენ მართალი ხარ
და მე ვცდები, ცილსა გწამებ, აგრე, ამხანა-
გების წინაშე სიტყვას გაძლევ — პიონერ-
ხელმძღვანელს ვუმშობ ვუელავერს და
ვთხოვ, მე, როგორც ცილის მწამებელი გამ-
რიცხოს პიონერორგანიზაციიდან...

— ამინ! — დაიძახა რომელიდაც ამხანაგ-
მა ხუმრობით და მხარზე ხელი შემომკრა. ვანო
სხვებს არ დაეთანხმა — რას მექვიან
ასეთი ფიცი და პირობა... ის მარწმუნებ-
და, გივის შენი წიგნი არ მოუპარავსო.

გივი ფიცხდებოდა, მოთმინებას ჰქარგავ-
და... ვერ დამიმტკიცა თავისი სიმართლე და
დღემდე შერჩა წიგნის ქურდის სახელი. ვა-
ტყობილი — როგორ შეეცვალა მას ხასიათი,
ამხანაგებში დაქარგა აღრინდელი პატივის-
ცემა. მებრალებოდა ამხანაგი. მწყინდა, რომ
ჩემი წიგნი გახდა მისი დამცირების მიზეზი.

გუშინ საღამოს მამაჩემმა გაზაფხულის
დადგომასთან დაკავშირებით მცირეოდენი
ცელილება მოახდია ჩვენს დიდ ოთახში. აი-
ღო ღუმელი. მაგიდა ფანჯარასთან დავდ-
შით... როდესაც წიგნების თაროც დავ-
ძარით, კედელსა და თაროს შუა ქალალ-
დში გახვეულ ნივთს მოგარი თვა-
ლი... ფრთხილად შევახე ხელი ქალალდში გა-
ხვეულ ნივთს, მეორე ოთახში გავიტანე, მა-
ლულად გავხსენი და... მუქ, შეინდისფერ



ლიდერინის ყდაზე დაბეჭდილმა ოქროს-
ფერმა წარწერამ — „საქართველოს ისტო-
რია“, — თვალის მომჟრელად შემომანათა...
მასწავლებელო! ვერ წარმოიღენთ, როგორ
შევწუხდი... შევწუხდი კი არა, გავთავდი...
გამახსენდა პირობა... პიონერორგანიზაციი-
და ვამომრიცხვენ, ყელსახვევს მომხსნიან...

მართალია, როცა გივის ის პირობა შევ-
თავაზე, აღელვებული ვიყავი... ახლა კი...
აღარ ვიცი, როგორ გამოივალორო ჩემი ორ-
მაგი შეცლომა?! პიონერორგანიზაციას ვერ
მივატოვებ, ყელსახვევს ვერ მოვიხსნი... გი-
ვის რა ვუყო, როგორ დავარწმუნო ამხანა-
გები, რომ ის მართალია?!

დღეს დილით სკოლაში თავი მაღლა არ
ამიწევია. კიდევ კარგი, გივი სკოლაში არ
მოსულა, თორემ არ ვიცი, მის დანახვაზე
რა დამემართებოდა! მასწავლებელო, რო-
გორ... მოვიქცე? ! აქ... მარტო წამოვედი, იქ-
ნებ რამე აზრი დამებადოს-მეთქი, მაგრამ...
ვერაფერი მომისაზრებია.

თვალებზე მომდგარი ცრემლი ვახტანგს
უშლილა მასწავლებლის სახე ნათლად გაერ-
ჩია, მაგრამ გრძნობდა, რომ, მიუხედავად და-
ნაშაულისა, მასწავლებელი მას მაიც თანა-
უგრძნობდა.



ექინიაღი



მოთხოვა

მწვანე ქოჩრიან მთის ძირას, მოდუდუნე
მტკვრის სანაპიროზე პიონერთა ბანაკის
ფროშა აფრიალთა და საყვირებმა მიღამოს
ამცნეს ახალგაზრდა მეგობრების მოსვლა.
სიხარულის უივილ-წივილით აიგსო მთა და
ველი. ეს სიხარული განსაკუთრებით ბე-
ბერმა მუხამ იგრძნო. მის განიერ ტოტებ-
ქვეშ მოიყარეს თავი ბაგშვებმა. გაიმსრთა
ცეკვა-თამაში, სიმღერა... ეს აცოცხლებდა
ბებერ მუხას.

— ჩვენს ბანაკში წელს პირველად ვინ
მოვიდა? — იყითხა პიონერებილმდვარებმა.
— მე! — წინ წარსდგა ქერათმიანი
ტანმაღლი გვონია.

- შენი სახელი?
- მწევინარი.
- ცეკვა იცი?
- არა.
- სიმღერა?
- არა!
- მაშ რა იცი?
- სწავლა.
- ეგ ყველა პიონერმა იცის! არ გინდა
ცეკვა, ან სიმღერა ისწავლო?
- არა!
- არა?! — მწევინარის პასუხმა ყველა
გააოცა.
- ცეკვა-თამაში, რასაკვირველია თავის
ღროზე კარგია!
- ვიცი.
- და მაინც არ გინდა ისწავლო?
- არ მიღდა.
- მიზეზი ბიძაჩემია.
- ცეკვა აგირძალა?
- არა!

— ავად არის? — ეკითხებიან ცნობის-
მოყვარულნი.

— ბიძაჩემი ომამდე მოცეკვავე იყო.
ომში კი ცალი ფეხი დაჭკარგა.

— მერე? მერე!

ინვალიდი დაბრუნდა. ისე შემეცოდა ჩე-
მი ბიძიქო, რომ მზად ვიყავი საკუთარი
ფეხი დამეთმო საკვარელ ბიძისათვის.

— მერე? მერე!

— რა მერე. ფეხის მიცემა როგორ შეი-



ძლებოდა! ანდა ჩემი პატარა ფეხი ძის აბა როგორ გამოადგებოდა! როცა ცეკვას ვუც-ქერ, ყოველთვის ძია გამახსენდება... შან ფეხი დაპკარგა და მე კი ვიცეკვო?!

— კეთილო მზევინარ, კარგი გულისა ყოფილხარ, მაგრამ სწორედ ვერ იქცევი.

მარტო ბიძაშენმა კი არა, ბევრმა ჩვენთვის ძეირფხსმა აღამიანდჲ დაპკარგა სიცოცხლეც კი. და მერე იცი რატომ? ჩვენთვის, ჩვენი ბელნიერი ცხოვრებისათვის. მზევინარ, დამიჯერე, ბიძაშენს უფრო ეამება, თუ ცეკვს ისწავლი, რადგან გართობას, რომელიც მას უყვარდა, შენ განაგრძობ. ეს იქნება ბიძისაღმი პატივისცემა.

შევინარი დაფიქრდა.

საღამოს თბილისში ბიძას ჭერილი მის-შერა და ატყობინებდა, რაც პიონერხელმძღვანელმა უთხრა.

დელავდა მზევინარი ბიძის პასუხის მოლოდინში.

ერთი კვირის შემდეგ პასუხიც მოიღო. „ ჩემთ კეთილო მზევინარ! — სწორდა ბიძა, — დაუჯერე პიონერხელმძღვანელს, იგი მართალია. მტერს იმიტომ ვმუსრავდი, რომ შენ და შენი მეგობრები ბელნიერი ყოფილიყვათ. მე მინდა შენ ცეკვა ის-წავლო. ეს ჩემი პატივისცემაც იქნება, რადგან მე ცეკვა მიყვარდა...“

— მაშ ასე, რახან ბიძას ეამება, უნდა ვიცეკვო! — თავის გულში სთქვა მზევინარმა და ბიძის წერილი შეინახა.

* * *

მეორე დღეს, როცა ბებერი მუხის ქვეშ გასართობად შეიკიბნენ, მზევინარი პირელი იყო, რომელმაც ცეკვის სურვილი განაცხადა.



შეგირდის მოსაზრებულობა


ცნობილი წმინდა — პავლეს ტაძრის აგება ლონდონში მთავრდებოდა. ტაძარში გაეცემული იყო მაღალი ხარისხი, რადგან კედლებისა და გუმბათის მოპირკეთება ხწარმოებდა. განთქმული მხატვარი იაკობი და მისი შეგირდი ხარისხშე იდგნენ და მუშაობდნენ ზუა ნახატის დასამთავრებლად. მუშაობის დროს, სურათი რომ კარგად დაენახა, ოსტატმა [რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა. სურათის ჭრებით გართული თანაათან უკან-უკან ისევდა და ვერ შეამჩნია, რომ ხარისხს ნაპირს მიადგა. ერთი ნაბიჯიც და ოსტატი უკვე ქვის იატაქშე დაგარდებოდა. შისი შეგირდი ხედავდა ყოველივე ამას და შიშით დელავდა... უცებ სტაცა ფუნჯს ხელი, რომელიც იქვე საღებავში იდო, და დაუწყო თხუპნა თითქმის დამთავრებულ სურათს. მხატვარს ეგონა, შეგირდმა მოსაზრება დაკარგაო, და აღელვებული ყვირილით მივარდა მას.]

— რას შერები, უგუნურო!

— მე სურათი მსხვერპლად შევწირე, რომ უბედურებისაგან მეხსნა ჩემი ოსტატი, — უპასუხა მშეგიდად შეგირდმა. — არ მინდოდა მეთქვა თქვენთვის, რა საფრთხეში იყავით. საკმარისი იყო ამ საფრთხის გამო დამეყვირა, რომ თქვენ შიშით ნაბიჯს უკანვე გადადგამდით და უუჭველად ხარისხდან გადაგარდებოდით.

ოსტატმა, მაღლობის ნიშნად, მაგრად ჩამოართვა ხელი ერთგულ შეგირდს.

თარგმანი ჩვეთვან კორაზილისა



კონტაირ

፭፻፷፯

კნობები კოდხეთის შესახებ

ოლხეთი ძველი ქვეყანაა.
სახელგანთქმული ძეგლი
ბერძენი და სხვა ერთა მწე-
რალ-ისტორიკოსნი მას აგვი-
წერდნენ, როგორც მდიდარ
და კულტურულ ქვეყანას.
კოლხეთზე ბევრი დაწერილა. საქვეყნოდ
ცნობილია ლეგენდა არგონავტებზე.

კოლხეთს უცხოეთან დიდი ვაჭრობა
ჰქონდა გაჩაღებული. მასზე გაღიოდა ეგ-
რეთშოდებული დიდი სავაჭრო გზა. ეს გზა
რომესა და საბერძნეთში იწყებოდა და კოლ-
ხეთშე გავლით შორის, ირან-ინდოეთისაკენ
მიღიოდა. კოლხეთიდან გაპერინდათ კანაფი,
ბზა, წაბლის ხე, ხილი, ჩვემაშენი მასალა,
სელის ქსოვილი. გაქონდათ ოქროც. მაშინ
ოქროს ასე პოულობდნენ. ოქრონარევ სი-
ლას ცხერის ტყავზე რეცხავდნენ. წყალი
შიღიოდა, ხოლო ოქრო ტყავზე რჩებოდა.
უეჭველია, ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვე-
ბამ საფუძველი შეუქმნა ოქროს საჭმისის
ლეგნდას.

კოლხეთს, როგორც მდიდარ ქვეყანას; ბევრი მტერი ჰყავდა. სხვადასხვა ღრუს მას ეძროდნენ ბერძნები, რომაელები, ბიზანტიელები, ირანელები, სკვითები, თაორები, თურქები. მოდიოდნენ შემართული ხმლით და ბრუნდებოდნენ დალეჭილი მუზარადებით. ხალხს უყვარდა თავისი სამშობლო და მედგრად იცავდა მას.

მაგრამ იყო ერთი მტერი, რომელსაც ვერ
უმელავდებოდა კოლხეთი. ეს მტერი იყო
ჭაბი, რომელიც გამანადგურებელ ციებას
აფრცელებდა.

ჯერ კიდევ ძეგლი მწერლები აღნიშნავდნენ კოლხეთის ჭაობს. 2.500 წლის წინათ ცნობალი ბერძენი მწერალი ჰიბრიდუატე წერდა:

ამ საშინელ ჭაობს დღემდე ვეებეროთელა
აღვილი ექვანა: 225.000 ჰეკტარი. მეცნიე-
რები ამბობენ, რომ წინათ ამ ჭაობის აღა-
გას ზღვა იყოო. ის ზღვა შევი ზღვის უბეს
წარმოადგენდა და ძველ მწერლობაში ცნო-
ბილია სარმატის ზღვად. დროთა განმავ-
ლობაში ეს ზღვა კოლხეთის მდინარეებმა
ამოაშრეს. საქმე ისაა, რომ ამ მდინარეებს,
მეცნიერების გამოანგარიშებით, ყოველ-
წლიურად 10 მილიონი 750 ათასი ტონა
შლამი მოაქვთ მოებიდან. ეს შლამი ილექ-
ბოდა ზღვის პირას და თანადათნობით უკუ-
პეცევდა ზღვას. ზღვის უცუქეცევას ახლაც
შენიშნავს კაცი ფოთში. მაგალითად, ფოთ-
ში დგას მაღალი ციხე-კოშკი. ეს ციხე-კოშ-
კი 1578 წელს გააშენეს ზღვის პირას. ახ-
ლა კი კოშკიდან ზღვამდე 2.600 მეტრი.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ გან-
ნია კოლხეთის ჭაობები.

კოლხეთი წვიმების ქვეყანაა. გამოიანგა-
რიშებულია, რომ წელიწადის თითქმის ნა-
ხევარი აქ წვიმიანია. კოლხეთის დაბლობს
ზღვისკენ დამრეცობა არა აქვს. ამიტომ
უამრავი ნალექი მიწაზე ჩჩება და აჭაო-
ბებს.

ჭაობს მღინარეებიც აჩენენ. მღინარე
რომ აღიდდება, ნაპირებზე გადმოდის. რი-
ონის წყალი, მაგალითად, უზარმაშარ ტე-
რიტორიას ფარავდა. ეს წყალი უკან — კა-
ლაპორტში ვერ ბრუნდებოდა, რჩებოდა
ტეჟში, მინდონ-ველში და აჭაობდებდა.

ჭაობს ღიღი ზიანი მოაქვს ხალხისათვის.
ჭაობიანი აღვილი გამოუსადეგარია, „მქვდა-
რი მიწაა“, საცხეა ბაყაყითა და გველით.

ჭაობში ჩნდება აღამიანის მტერი კოლო, რომელიც ციებას ავრცელებს.

ციება კოლხეთის უბოროტესი მტერია. აქ ყოველ ას კაცში 84 ციებიანი იყო. ხშირი იყო სიკვდილიანიბა. აქ აციებდა ყველა და ყველაფერს: აღამიანს, ცხოველს, ფრინველს, მცენარესაც კი. ციებისაგან გაწამებულმა კოლხებმა ანდაზაც კი შევქმნეს: „ხეც გაძმება, როცა გააციებსო...“

ჭაობს და ციებას ძალიან დაშინებული ჰყავდა ხალხი. მათ მომრევად არავინ მიაჩნდათ. მაგრამ, აი, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, და ხალხმა, მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ომი გამოუცხადა ჭაობსა და ციებას.

კოლხეთის ჭაობთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის სახელოვან შეილს ამხ. ლ. პ. ბერიას, რომელიც პირადად ხშირად ჩამოსულა კოლხეთში სამუშაოთა დასათვალიერებლად.

ბრძოლა ჭაობთან

აობის ამოშრობა 1932 წელს დაიწყეს. მუშაობას აწარ მოებს სორგანიზაცია „კოლხიდმშენი“. ამოსაშრობის ფართობი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე. იწყება სუფსაში, მისყვება რეინიგზის ხაზს ლანჩხუთამდე, შემდეგ მისი აღმოსავლეთი ხაზი გასდევს აბაშა-ცხაკაია-მუხურს ობამიჩირემდე. ამჟამად სწორედ ამ რაიონს ეწოდება კოლხეთი.

როგორ აშრობენ ჭაობს?

ჭაობს აშრობენ არხებით, აფეთქებით, ტალახითა და წყლით. თქვენ გაგიკვირდებათ, მე კი მართალს გეუბნებით: ჭაობს ზოგჯერ ტალახითა და წყლით აშრობენ.

ჭაობი ყველგან ერთნაირად როდია გაუგალი. ალაგ-ალაგ ჭაობში შესვლა შეიძლება. იქ, სადაც შესვლა შეიძლება, თხრიან არხებს. ამ არხებში იწრიტება ჭაობის წყალი. აქვე ჩადის წვიმის წყალი. არხები ერთიმეორისაგან 200 მეტრითა დაშორებული. ყველაზე დიდ არხს „დედაარხს“ ეძნიან, პატარ-პატარა არხებს — „შვილებს“. არხები ჩადის ზოგი ზღვაში, ზოგი რიონსა და ხებისწყალში. არხებს მუდმივი მოვლა და მეოთვალყურეობა სჭირდება, რომ ნაბირი არ ჩამოუშვავდეს და წყალი არ დაჩეროს.

ჭაობს ზოგან აფეთქებენ, რამდენიმე ადგილას, განსაზღვრულ მანძილზე, ჩასდებენ ამონალს და ააფეთქებენ. ჰაერში ყრუ-გრიალით აღის უზარმაზარი სვეტი ტალა-ტონებისა და წყლისა. შემდეგ არხებით აერთებენ აფეთქებულ ორმოებს. ამ ორმოებში იწრიტება წყალი.

საინტერესოა ჭაობის ამოშრობა ტალასით. სპეციალური მანქანით თხრიან და აფეთქებენ შიშას. სპეციალური მანქანით ეფექტურ მიწას ტალაზად აქცევენ და მილებით მიუშვებენ ჭაობზე. მიწა რჩება, ხოლო წყალი დაბლობისაკენ მიეღინება. ჭაობის ასეთი წესით ამოშრობას რეცულირება ეწოდება.

მაგრამ ყველაზე საოცარია ის, თუ როგორ აშრობს წყალი ჭაობს.

ჩეენ ვთქვით, რომ კოლხეთის მზინარეები შლამიანია. მდინარეების ეს თვისება გამოიყენები „კოლხიდმშენის“ ინჟინრებმა. მათ გათხარეს რიონის მარცხენა ნაპირას არხები, გაუკეთეს რაბები და წყალიდობისას უშვებენ შეიცვლილ რიონის წყალს. წყალი იჭრება ჭაობში. თვიდინ თვემდე, წლიდან წლამდე უამრავი ნალექი რჩება ჭაობში. ასეთი წესით აშრობენ კოლხეთის ჭაობის იმ უბანს, რომელსაც სუფსანოლელა ჰქვია. ამ უბანზე ჭაობს 24.000 ჰექტარი უკავია. წყლით ჭაობის ამოშრობას კოლხეთში კალმატაციას უწოდებენ.

ახალი მიწა



ერჯერობით კოლხეთში ამოშრობილია 20.000 ჰექტარი ჭაობი. ამოშრობილ მიწაზე უკვე გაჩნდნენ ახალი სოფლები. მაგალითად, იყო კოლხეთში ყველაზე საზარელი ჭაობი — ყორათი. ახლა ყორათი ელექტრონით განათებული სოფელია. იქ არის ელები, რადიო, კოლმეურნეობის კანტორა, და მიმოქრიან ავტომობილები.

რიონის მარჯვენა ნაპირას, ფოთიდან 7 კილომეტრის მანძილზე, გაუვალი ჭაობი იყო. ახლა იქ გაშენებულია სოფელი პატარა ფოთი—ლამაზი, კულტურული, ციტრუსების ბალებით დამზენებული. ძველად კი ფიქრობდნენ, ამ აღვილას ოჩო-კოჩი და ალი ცხვირობენო, ჭინკა და უშმური ბუდობენო. ჩემს მოწაფეობაში მე გამოვლია ამ აღვილის ახლოს ნავით და შენავეებს უთქვამთ ჩემთვის:

— შეხედე, ბიძივო, იმ ტყეს! იქ ცხოვ-
რობენ ოჩო-კოჩი და ალი, ჭინჯა და უუმუ-
რი. ოჩო-კოჩი ბანჯველიანია, შუბლი და-
ბალი აქვს, ხელები მოკლე. მკერდზე საჩე-
ჩელი აქვს. კაცს თუ ხელები დაავლო, იმ
საჩეჩელზე მიიკრაგს და მოჰკლავს. ღამ-ღა-
მობით გამოდის თავისი ბუნაგიდან და ყვი-
რის, აღამიანს აშინებს... ალი ტყის დედო-
ფალია. ტიტველია, გრძელი, მწვანე თმები
აქვს და კოჭამდე უცემს. ალი აღამიანის
სულზე ნაღირობს. თუ პასუხი გაეცი, წა-
გიყვანს ტყეში და მორჩა შენი საქმე. უუ-
მური ბავშვების მტერია. შეჰყრის ციებას
და გამოსწოვს სისხლს.

მე ყველაფერი ეს მჯეროდა, რადგან ბევრი
მინახავს ციებისაგან გაყვითლებული ბავშ-
ვი, მჯეროდა, რომ ჭაობში იჯდა ავი სული —
უუმური და ავრცელებდა ციებას, სწოვ-
და ბავშვების სისხლს. მჯეროდა ისიც, რომ
სიფლის განაპირობა, ჭაობის ტყეში ცხოვ-
რობდნენ ჭინჯები: მოუსვენარი, ცულლუტი,

ეშმაკი და მავნე სულები.

- ახლა კოლხეთში ბავშვებს არ სწამო ჭინ-
ჯებისა და მავნე სულების არსებობა. დრო-
სთან ერთად, ჭაობის ამოშრობასთან ერთად
კოლხეთში აღამიანიც იცვლება.

ფოთის ჯანმრთელობის დაცვის განყო-
ფილების ცნობებით, ჭაობის ამოშრობის
დაწყების წელთან შედარებით ციებით და-
ვადება ერთიორად შემცირდა. ეს პირველი
და უდიდესი სიკეთეა, რომელიც თან სდევს
ჭაობის ამოშრობას.

* * *

მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში
ამოშრობილ იქნება 20.000 ჰექტარამდე.
ეს ნიშნავს რამდენიმე ათეულ სოფელს,
სკოლას, სხვადასხვა დაწესებულებას. ეს
ნიშნავს ახალ ბალებს, სიმინდის ყანებს,
ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებს, ეგვა-
ლიპტების ტყეებს. ეს ნიშნავს ახალი გზე-
ბის გაყვანას, ახალი ცხოვრების უკეთ მოწ-
ყობას.

რამდენი სპეციალისტი დასჭირდება ამას?
ეს სპეციალისტები თქვენ უნდა იქნეთ,
ჩვენი უურნალის მკითხველებო!

ახალი კოლხეთის მშენებლობის დამთავ-
რება სწორედ იმ თაობის საქმე იქნება,
რომელიც ახლა იზრდება სკოლაში.



ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე

(დაბადებიდან 60 წლისთავის გამო)

ქართველმა ხალხმა, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, შეკემნა არა მარტოდენ მდიდარი ისტორია, მხატვრული ლიტერატურისა თუ მეცნიერული აზროვნების ფასა-დაუდებელი ძეგლები, ხელოვნების იშვიათი ნიმუშები და სხვა კულტურული განძი, არამედ ამასთანავე შეიმუშავა და გახამტკიცა საკუთარი შეტყველება, მდიდარი ენა, რომლითაც სამართლიანად შეგვიძლია ვია-მაყოთ. ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი ცვლილება-განვითარების შედეგია. ისტო-რიულ წარსულში დაუძინებელი მტრები ჩვენი ენის გადაშენება-მოსპობასა და თა-ვიანთი ენის გაბატონებასაც ლამობდნენ, მაგრამ მშრომელმა ხალხმა შეუპოვარი ბრძოლით დაიცვა ჩვენი სამშობლო, დედა-ენა და დალუბგას გადაარჩინა იგი. დიდი სტალინი გვასწავლის, ენა ბრძოლის იარა-ლია, და ქართველმა ხალხმაც თავისი ენა ბრძოლის მძლავრ იარაღად გამოიყენა...

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ენა გადაშენდა, მრავალიც შემდეგ და შემდეგ წარმოიშვა; თანამედროვე ცოცხალ ენათა შორის ხნოვანებით ქართულს უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს, და თუ გავისწენებთ მარჯისიზმის კლასიკოსების მტკიცებას, რომ ენა ასახავს საზოგადოების განვითარების საფეხურებს, მაშინ ცხადი გახდება ქართუ-ლი ენის, როგორც უძველესი ენის, მნიშვ-ნელობა ისტორიის. შესასწავლად.

ქართულ ენაზე შეკემნილია შესანიშნავი წერილობითი ძეგლები ძეველ საუკუნეებში, ჩვენს ენას ახსოეს განვითარების ისეთი მაღალი დონე, რომელზედაც იდგა ის შოთა რუსთაველის დროს. ქართულ ენაზე დაიწერა ხალხთა ბელადის — დიდი სტალინის აღრინდელი ნაშრომები, რაც კიდევ უფრო ზრდის ქართული ენის მნიშვნელობას მსო-ფლით კულტურულ ენათა შორის.

დღეს ქართულ ენას გავრცელებისა და განვითარების ისეთი ასპარეზი აქვს, რო-გორიც მას არასოდეს არა ჰქონია. იგი ჩვე-ნი საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, მისი საშუალებით ერცელდება ფარ-თო მოსახლეობაში ლენინ-სტალინის დიალი იდეები. კომუნისტური საზოგადოების აშე-ნებისათვის აუცილებელი პირობაა კულტუ-რული განვითარების მაღალი დონე, სა-ფუძვლიანი ფოდნით შეიძალება, და ეს



განვითარება ჩვენში ხორციელდება დედა-ენის საშუალებით.

ქართული ენის სახელვანთქმულმა მკალე-ვარმა ცნობილმა ენათმეცნიერმა, აკადემი-კოსმა აქაები შანიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული ენის მეცნიერულ დამუშავებას. მან ღრმა საფუძვლიანობით გამოიკვლია ცალ-კეული ენობრივი საკითხები, მეცნიერული დამაჯერებლობით გააშუქა არა ერთი და ორი გრამატიკული კატეგორია, ბევრი საკით-ხი გადასწრა და ბევრიც ახლებურად გააშუქა. ცნობილია მისი გამოკვლევა პრეიიქსების გაჩშემო, რომელმაც ავტორს მოუპოვა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი დაქტორი-სა და პროფესორის წოდება 1920 წელს, ჯერ კიდევ ნორჩ ქართულ უნივერსიტეტ-ში. როგორც ქართული ზმნის, ისე სახელ-თა ბრუნვის დარგში მკალევარმა ორიგინა-ლური ნაშრომები მოგვცა და ამის შედეგად ჩამოაყალიბა პირველი მეცნიერული გრამა-ტიკა ახალი ქართული ენისა...

მეცნიერის ყურადღების ცენტრშია ჩვე-ნი მოზარდი ახალთაობაც, და მარტია-ვი და გასაგები ენით დაუწერა ქართული გრამატიკა, რომელიც იხმარება ჩვენს სკო-ლებში და საღაც მეცნიერული მიღწევები

სასკრლო მოთხოვნილებასთან არის შეგუ-
ებული და შეხამებული. ამ სასკოლო გრა-
ბატიკით მოსწავლები ითვისებენ წამიდგილ
გრამატიკულ ცოდნას და საფუძველს უყ-
რიან მეტყველების კულტურის გამომუშა-
ვებას.

ჩვენი მეცნიერი აკაკი შანიძე იკვლევს
ქართული ენის ისტორიის საკითხებსაც. მან
აღმოაჩინა, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილ-
თან ერთად, ფასლაუდებელი ძეგლები ძევ-
ლი ქართული ენისა (იგულისხმება ერეთ-
წოდებული ხანმეტ-პაემეტი ტექსტები),
რომელთაც პირდაპირ გადატრიალება მოა-
ხდინას ქართული კულტურის შესწავლის
საქმეში. ამ აღმოჩენათა საფუძველზე მან
გაარცვია ქართული სალიტერატურო ენის
განვითარების ძირითადი მნიშვნელობის სა-
კითხები.

ძველი ქართული ენის გრამატიკული აღ-
ნაგობა რომ მისაწვდომი ყოფილიყო მო-
ზარული თაობისათვის, აკ. შანიძემ შეადგინა
სათანადო მიმოხილვა, და იგი გამოყენებუ-
ლია სკოლებში სახელმძღვანელოდ.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლი-
სათვის ანგარიშგასაწევია სვანურისა და მეგ-
რულ-ჭანურის (ზანურის) მონაცემები (ყვე-
ლა ამათ „ქართველური ენები“ ეწოდება).
მათი ურთიერთ შედარება აუცილებელი
პირობაა ჩვენი ენის ისტორიაული საკითხე-
ბის გამოსარევევად, და ამ კვლევას თავის
მხრივ მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალ-
ხის ისტორიული ფესვების შესასწავლად.

აკაკი შანიძე ჩინებული მცოდნენ ქართ-
ველური ენებისა. მან ფუძემდებელი ნაშ-
რობები გამოაქვეყნა სვანურის შესახებ, —
სვენურისა, რომელიც ძველი ორაგობის
ენა და ახლოს დგას საერთო ქართული
ენის უძველეს საფეხურებთან, — ამჟერად
ეს გამოკვლევები შეუქის მომფერია ქართუ-
ლი ენის ისტორიულ წარსულისა.

ჩვენი მკვლევარის ყურადღების მიღმა
არა რჩება ქართული ცოცხალი მეტყველე-
ბა, ქართული კილოები. ჯერ კიდევ ადრე
მან შეადგინა (პროფესორ ი. ყიფშიძესთან
ერთად) ქართული დიალექტების მსალათა
შეკრების პროგრამა და ამსათანავე მეცნიე-
რულად შეისწავლა უმდიდრესი /ქართული
მეტყველება, დაცული აღმოსავლეთ საქართ-
ველოს მთაში. კერძოდ, აღსანიშნავია მისი
ღვაწლი ხელსურული კილოს შესწავლის
დარგში. აკ. შანიძემ შეადგინა შთის დი-
დებული მგონის ვაჟა-ფშაველას ენის ლე-

ქსიკონი, რომელიც დართული აქვს პოეტის
სხვადასხვა გამოცემას.

აკაკი შანიძემ ამაგი დასწრ აგრეთვე
რუსთველოლოგიასაც. იგი ერთ-ერთი ავ-
ტორიტეტული მონაწილეა „ვეფხისტყაოს-
ნის“ აკადემიური ტექსტის დადგენისა. მა-
ვე აღაგინა პირველი ბეჭდური „ვეფხის-
ტყაოსნის“, რომელიც 1712 წელს გამოსცა
ვახტანგ VI-ემ, დაურთო ვრცელი გამოკვ-
ლება და მიაწოდა მკითხველს რუსთაველის
საიუბილე ზემთან დაკავშირებით, რომე-
ლიც 1937 წელს მოეწყო ფართო მასტერ-
ბით ამხანაგ ლავრენტი ბერიას ინიციატი-
ვით.

აკაკი შანიძე დაუღალვია აგრეთვე, რო-
გორც გამომცემელი და გამომუშეურებელი
ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგ-
ლებისა. მისი სანიმუშო ფილოლოგიური
გამოცემები მტკიცე საფუძველს ჰქმნიან
მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის და აც-
ნობენ ფართო საზოგადოებას იმ მნიშვნე-
ლოვან ნაწარმოებთ, რომლებიც დაგვიტო-
ვეს ძველმა მოწინავე ლიტერატორობმა.

აკაკი შანიძე ცნობილი საბჭოთა მეცნიე-
რია: მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწე-
ვა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას.
იგი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი
დამარსებელია და მისი საუკეთესო ტრა-
დიციების საფუძვლის ჩამოსწორი. იმავე
დროს, აკაკი შანიძე, აკადემიკოს გიორგი
ახვლედიანთან ერთად, თბილისის საქანათ-
მეცნიერო სკოლის მამამთავარია. მან ბევრი
მეცნიერი გამოუზარდა ჩვენს ქვეყანას,
რომლებიც დღეს წინ წევენ მეცნიერებას
და საბჭოთა კულტურის განვითარების მო-
ნაწილენი არიან.

აკაკი შანიძის, როგორც ადამიანისა და
მეცნიერის, დამახსიათებელი თვისებაა
დიდი დამგირვებლობის უნარი, აუქსერებ-
ლობა დასკენების გამოტანისას, მიუდგომ-
ლობა, შრომისადმი ერთგულება და პასუ-
ხისმგებლობა. ყოველივე ეს შეხამებულია
მგზებარე პატრიოტიზმთან, ჩვენი საბჭოთა
სამშობლოს დიდ სიყვარულთან, რაც ეგზოშ
ნიშანდობლივი უნდა იყოს ჰქონილი საბ-
ჭოთა მეცნიერისა და მოქალაქისათვის. ამ
თვისებებს უნერგავდა და უნერგავს ეს დი-
დი მეცნიერი ახალ თაობას, ამიტომა იგი
საყოველთაოდ დაფასებული და პატივცე-
მული.

დოცენტი შოთა მიძიგური



უჩინარი საქართველო

შერილი მეხუთე*

უძველესი დროიდან თითქმის მეოცე საუკუნების მოაღწია რწმუნამ, რომ შეიძლება უბრალო ლითონების — რეინის, სპილენძისა და სხვათა გარდაქმნა ძვირფას ლითონებად — ვერცხლად და ოქროდ. ეს მიმართულება ქიმიაში, რომელიც გაბატონებული იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ალქიმიის სახელწოდებითაა ცნობილი.

ქიმია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა. მისი ფესვები საუკუნეთა სილრმეში მიღის. მის სამშობლოდ მიაჩნდათ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, კერძოდ ეგვიპტეც. მეცნიერების ისტორიისთა ნაწილი ქველ ხელნაწერთა მიხედვით ამტკიცებს, რომ თვით ამ მეცნიერების სახელწოდება ქიმია წარმოიშვა ეგვიპტის ერთ-ერთი სახელწოდებისაგან — ხემი, რაც მას შავი ნიადაგის გამო მიაკუთვნეს.

არის ისეთი მოსაზრებაც, რომ სიტყვა ქიმია წარმოიშვა სიტყვისაგან ხიუმა, რასაც უწოდებდნენ მაღნეულიდან გამოიწოდი აქროს. იმ აღამინებს კი, ვინც ამ სამუშაოს ასრულებდა, ხიუმეოთისს უწოდებდნენ.

ახლო აღმოსავლეთში VI საუკუნიდან არაბების გაძლიერება დაიწყო. მათ მთელი რიგი ქვეყნები დაიცყრეს და შექმნეს არაბთა ვებერთელა სახელმწიფო, რომელშიც შევიდა სირია, მესოპოტამია, პალესტინა, სპარსეთი, მცირე აზია, ეგვიპტე, აფრიკის მთელი ჩრდილოეთ სანაპირო, ეკროპაში კი — ესპანეთი და სიცილია. არაბები დაუფლენენ მთელ იმ კულტურასა და ცოდნას, რომელიც მათ დაპყრობილ ტერიტორიაზე დახვდათ, მათ შორის ქიმიურ ცოდნასაც, და თავის მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერების სხვადასხვა

დარგის და, კერძოდ, ქიმიის განვითარებაში. მათგან მიემატა „ქიმია“ თავსართი „ალ“ — „ალქიმია“.

მეტად საგულისხმოა, რომ როგორც ძველი ჩინელების, ისე ბერძნების, ეგვიპტელების, არაბების და სხვათა ქიმიურ ნაშრომებში მნიშვნელოვანი აღგილი უკავია ოქროს: ერთი მხრივ, მის მიღებას მაღნებიდან — გამოიწოდას, გაწმენდასა და სხვა, მეორე მხრივ ხელოვნური აქროს დამზადების ცდებს. მაგალითად, ხელოვნური აქროს მიღების რეცეპტები აწერილი აქვს ჩინელ ქიმიკოსს კი ხუნგა.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქიმია ძირითადად ვითარდებოდა ხელოვნური აქროს დამზადების ხერხების ძებნის გზით.

ალქიმიკოსები ფარიზდნენ, საქმია გამოინახოს განსაჟულრებული ნივთიერება — „ფილოსოფიური ქვა“, რომ მისი საშუალებით უბრალო ლითონები ძვირფას ლითონებად გარდაიქმნას!

ბევრი ალქიმიკოსი ათეული წლების განმავლობაში ამაოდ ეძებდა ამ სასწაულო-მოქმედ „ფილოსოფიურ ქვას“ და ხშირად მაშა დაუმთავრებელ ცდებს მემკვიდრეობად შვილს გადასცემდა განსაგრძობად.

ალქიმიური შეხედულებანი დაკავშირებული იყო მრავალ ცრურწმენასთან. დაზრუნებული იყვნენ, რომ ლითონები რაღაც უცნაურად დაკავშირებული არიან სხვადასხვა პლანეტებთან, რომ დედამიწის წიაღში დაფარული მინერალები ჩაისახებიან და ვითარდებიან ცოცხალ არსებათა მსგავსად, რომ აქრო ყველაზე სრულყოფილი ლითონია და ბუნება განუწყვეტლივ მიისწოდათვის შექმნას აქრო — ეს მისი „ნანატრი პირმშო“, რომ თუ დედამიწის წიაღში არ არსებობს აქროს წარმოქმნისათვის ხელსაყრელი პირობები, ბუნება წარმო

* დასაწყისით იხ. უზრუნალი „პიონერი“ 1945 წლის № 6, 10 და 11, 1946 წლის № 6,



ჩინელი ქამიკოსი კო-ჩუნგი

შობს „უდღეურ“, ე. ი. არაკეთილშობილ
ლითონებს და სხვა.

ზოგიერთი ალქიმიკოსი ნამდვილად იყო
დარწმუნებული, რომ მან „ფილოსოფიური
ქა“ აღმოაჩინა და უბრალო ლითონების
ოქროდ გადაქცევის საიდუმლოებას დაეუფ-
ლა. ეს მათი რწმენა ნივთიერებათა თვისე-
ბებისა და ბუნების უცოდინარობის შედე-
გი იყო, აგრეთვე იმისა, რომ ისინი არ იც-
ნობდნენ ნივთიერებათა შემადგენლობის
შემოწმების ხერხებს, მათ შესახებ გარეგ-
ნული ნიშნების მიხერვით მსჯელობდნენ
და ხშირად ოქროს ან ვერცხლის მსგავსი
შენაღნობი (თითბერი, ბრინჯაო და სხვ.)
ოქრო და ვერცხლი ეგონათ.

რასაეგირველია, მათ არ შეეძლოთ ქიმიური
საშუალებებით ნივთიერებათა გარდამნა
განეხორციელებინათ. მიუხედავად ამისა,
ალქიმიამ დიდი სამსახური გაუწია ქიმიას:
უაშრავი სასარგებლო ცნობა დაგროვა, ბე-
ვრი უცნობი ქიმიური ნივთიერება იქნა ალ-
მოჩენილი.

მეთვრამეტე საუკუნიდან ქიმიაში ფეხს
იყიდებს კვლევის ზუსტი მეთოდები: სას-
წორ-საზომი. ქიმია თანდათანობით ზუსტი
მეცნიერება ხდება.

მაგრამ ალქიმიური რწმენა საბოლოოდ
არ გამქრალი. ალქიმიკოსები მეცნიერებე
საუკუნეშიც კი იყვნენ. მართალია, ახლა
სინი ძელი „სასწაულთმოქმედი“ რეცეპ-
ტებით არ გამოიითანენ. თავისი შეხედუ-
ლებათა სისწორის დასამტკიცებლად ისინი
ცდილობდნენ ქიმიის უახლოეს მიღწევებს
დაყრდნობოდნენ. ცნობილია, რომ მთელი
რიგი ქიმიური მოვლენები ხორციელდება
სხვადასხვა ეგრეთწოდებული ფერმენტების
— ენზიმების საშუალებით. მაგალითად,
ყურძნის შაქარი განსაკუთრებული პარაჭ-
კინტელა ორგანიზმების მოქმედებით, რო-

მელნიც საფუარის სიკონი სახელწოდებას
ატარებენ, სპირტად და ნახშირორჟანგად
გარდაიქმნება. და აი, მეცნიერებულ საუკუ-
ნის ალქიმიკოსები ამბობდნენ, „ფილოსო-
ფიური ქაც“ ამგვარი ფერმენტის როლს
ასრულებს.

მეცნიერებულ საუკუნეში მთელ რიგ ქვეყ-
ნებში არსებობდა საზოგადოებები, რომ-
ლებიც უბრალო ლითონების ძირიფას ლი-
თონებად გარდაქმნის შესაძლებლობას ქა-
ლაგებლნენ. გამორთილა მთელი რიგი უურ-
ნალები, რომლებიც ამ შეხედულებათა
პროპაგანდას ეწეოდნენ.

რით აიხსნება * ალქიმიკოსების მარცხი
ლითონების გარდაქმნის საქმეში?

წინა წერილებში ჩენ გავეცანით, რომ
ყველა ნივთიერება შესდგება უმცირესი წი-
ლაკებისაგან — ატომებისაგან და რომ ტო-
მები წარმოადგინენ მზისმაგვარ პატარა სამ-
ყარის, რომელშიც ატომგული ასრულებს
მზის როლს, პლანეტების როლს კი ასრუ-
ლებენ ელექტრონები. ჩვეულებრივი ქიმი-
ური მოვლენების დროს ატომგული პრავი-
თარ ცვლილებას არ ვანიცდის. ერთმანეთთან
ურთიერთობენ მხოლოდ ატომთა ელექტ-
რონები. ავიღოთ ასეთი მარტივი მაგალითი:
წყალბადის ირი ატომისა და უანგბადის ერ-
თი ატომის შეერთება გვაძლიერ ჩვეულებ-
რივ წყალს. წყალბადის ატომში მისი გუ-
ლის გარშემო ერთადერთი ელექტრონი
ბრუნავს. წყალბადის ორი ატომი თითო-
თითო ელექტრონს გადასცემს უანგბადის
ატომს და მაგვარად ხორციელდება წყალ-
ბადისა და უანგბადის შეერთება — წყლის
მიღება. ჩენ შეგვიძლია უკანვე მივიღოთ
წყალბადი და უანგბადი. ამისათვის საკმაო
წყალში ელდენი გავატაროთ. ამგვარად
დაგრადმუნდებით, რომ წყლის მიღების ქი-
მიური პროცესის დროს არც წყალბადისა
და უანგბადის ატომს თავისი ბუნება
არ შეუცვლია, გარდამნა არ განუცდია.
მათ რომ გარდაქმნა განიცაონ, ამისათვის
მათს გულზე უნდა ეიმოქმედოთ. ატომის
გული (ბირთვი) კი, როგორც გაეცანით,
რთულია: იგი პროტონებისა და ნეიტრო-
ნებისაგან შესდგება. პროტონები დადები-
თად არის დამუხტული, ნეიტრონებს მუხტი
არა აქვს. პროტონების დადებითი მუხტი
ილიაქტრონების უარყოფითი მუხტით წო-
ნასწორდება. ატომი გარდაქმნას განიცდის,
როცა მისი გულის შემაღენლობაში ხდება
ცალილება. ბუნებაში ასეთი ცვლილება თა-
ვისთვის მიმდინარეობს ეგრეთწოდებულ
რაღიადაქტიური გარდაქმნების ღრის. მაგა-

ლითად, ურანი, რომელსაც მენდელეევის ელემენტთა ცხრილში უკანასკნელი — ოთხმოცდამეთორმეტე ადგილი უკავია, ატომგულის შემადგენელი წილაკების — პროტონებისა და ნეიტრონების დაკარგვის გზით, 10 ადგილით უკან ინცივლებს — ოთხმოცდამეორე ადგილზე გადადის და ტკიად გარდაიქმნება. ამ გარდაქმნის დროს კლებულობს მისი ატომური წონაც (ატომური წონა არის ნივთიერების ატომის შეფარდებით წონა); ურანის ატომი წყალბადის ატომთა შედარებით 238-ჯერ უფრო მძიმეა): 238-დან 206-მდე.

ბუნებრივი რადიოაქტიური პროცესების არც დაჩქარება და არც შენელება არ მოხერხდა. მაგრამ მეცნიერებმა მოახერხეს ელემენტების ხელოვნურად დაშლა დაყუმბარების გზით. ყუმბარებად იყენებდნენ პროტონებს, ნეიტრონებსა და ზოგიერთ სხვა წილაკებს.

რა მოხდება, როცა გასროლილი „ყუმბარა“ ატომგულში მოხვდება? მაგალითად ავილოთ ნახშირბადი. მას ელემენტთა ცხრილში მექქსე აღგილი უკავია, მისი ატომური წონა 12-ს უდრის. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მისი გული შესდგება 6 პროტონისა და 6 ნეიტრონისაგან. ვთქვათ, „გასროლილი“ პროტონი ნახშირბადის ატომგულს მოხვდა და შიგ ჩარჩა. ატომგულის მასა ერთით გაიზრდება, ასევე ერთით გაიზრდება მისი დადებითი მუხტიც და ახლი ელემენტი დაიკავებს მეშვიოე ადგილს. ეს აღგილი ელემენტთა ცხრილში აზოტს უკავია. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ასეთი დაყუმბარებით მიღებული ელემენტი ხელოვნური აზოტია. მეცნიერებმა გამოარყიერეს, რომ ეს ხელოვნური აზოტი რადიოაქტიურია, ე. ი. თავისოთავად იშლება და რომ მისი ნახევრადდაშლის პერიოდი 10 წუთს უდრის (ე. ი., თუ გვაქვს 1 გრამი რადიოაზოტი, 10 წუთის შემდეგ დარჩება ნახევარი გრამი, კიდევ ათი წუთის შემდეგ ნახევრის ნახევარი — მეოთხედი, კიდევ ათი წუთის შემდეგ — მერვედი და ა. შ.).

ჩვენ აქ ავიღეთ ყველაზე მარტივი შემთხვევა. სინამღვილეში კი ატომგულთა დაყუმბარების დროს იმისღამიხედვით, თუ რა ნივთიერების ატომგულებს აყუმბარებენ, როთ აყუმბარებენ და სხვა, დაშლა სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, მაგრამ ყოველთვის მიიღება ახალი — ხელოვნური ელემენტი. ამგვარად მიიღეს მთელი რიცხი ხელოვნური ელემენტები — რადიოაზოტი, რადიოფონსფორტი, რადიონატრიუმი და სხვა, რომელთა სი-

ცოცხლის ხანგრძლიობა რამდენიმე წამით დაწყებული რომდენიმე ათეულ დღემდე აღწევს. 1935 წელს საბოლოოდ დამტკიცეს, რომ კალიუმი რადიოაქტიურია, მაგრამ მისი ნახევრადდაშლის პერიოდი არაჩვეულებრივად დიდია — 15 ბილიონ წელიწადს უდრის, ხელოვნური კალიუმისა კი — სულ 16 საათს.

როგორც უკვე გვეონდა აღნიშნული, ბუნება შესდგება 92 სხვადასხვა ელემენტისაგან, რომლებიც მენდელეევმა თავის ცხრილში დააღადგა. ნივთიერებათა გარდაქმნის აღმოჩენის ხერხების მეოხებით შესაძლებელი გახდა ელემენტთა ცხრილის გაფართოება, ურანის მომდევნო ელემენტების — ურანიღების ხელოვნურად შიღება. ჯერ კიდევ 1934 წელს იტალიელმა ფიზიკოსმა ენრიკე ფერმიმ მიიღო ელემენტი № 93 და მას № 94. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე 1936 წელს გამოქვეყნდა ცნობები № 95 და № 96 ელემენტების მიღების შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ატომურ ბომბზე მუშაობასთან დაკავშირებით, დაზუსტებულ იქნა № 93 და № 94 ელემენტების სამრეწველო მასშტაბით მიღების ხერხები. ამ ელემენტებს უწოდეს ნეპტუნიუმი და პლუტონიუმი. მიიღეს აგრეთვე ელემენტები № 95 და № 96. ყველა ეს ახალი ელემენტი ახლა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი როგორც ფიზიკური, ისე ქიმიური თვალსაზრისით.

ხელოვნურ რადიოაქტიურ ნივთიერებათა შიღებას არა მარტო დიდი მეცნიერული, არამედ აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, მაგალითად, მედიცინისათვის: ბუნებრივი რადიოაქტიური ნივთიერებანი, რომლებითაც მედიცინა სამკურნალო მიზნებისათვის სარგებლობს, ძვირია, ხელოვნური რადიოაქტიური ნივთიერებანი კი გაცილებით უფრო იაფია. დიდი მნიშვნელობა ექნება ხელოვნურ რადიოაქტიურ ნივთიერებებს ქიმიაში — ანალიზის მიზნებისათვის და სხვ. ბოლოს, ხელოვნური რადიოაქტიურის აღმოჩენის მეოხებით მოხერხდა ატომური ბომბის განხორციელება. მორიგი და უმნიშვნელოვანების ამოცანაა ატომის ენერგიის გამოყენება შშვილბიანი მიზნებისათვის, ხალხის საკეთილდღეოდ.

როგორც ვხედავთ, აღამიანმა შეძლო, განეხორციელებინა ალქიმიკოსთა ძველი ოცნება ნივთიერებათა გარდაქმნის შესახებ, მაგრამ არა შელოვებისა და „ფილოსოფიური ქვის“ საშუალებით, არამედ შეიარაღებულმა ორმა მეცნიერული ცოდნით და ნათელი წარმოდგენით ნივთიერების ანაგობისა და ბუნების შესახებ.

გ ა ს ა რ თ ლ ბ ი



გამოცანები

(შედგენილი ალ. საჩინოელის მიერ)

1.

არის რამე პაწაწინა,
არც ფეხი აქვს და არც თავი,
თეთრ მინდორზე მიღი-მოდის,
შავად რჩება მისი კვალი.

2.

უსულოა, ვერ უნახავთ
თვალებსა და ხელებს,
მაგრამ იგი ნათესებში
მარჯვედ იჭირს მწყერებს.

A Tempo

აქ მოცემულია მუსიკალური ნაწარმოების სამი ტაქტი; დაშვებულია
შეცდომები ნოტების მართლწერაში. იპოვეთ ისინი.

შ ი ნ ა რ ს ი

ა. შენგელია—სტალინს რომ გაუხაროება (ლექსი)	1
ია განახლები—გოგიში (წერილი)	2
ნ. ჩაჩავა—წერილი ძალა ლავრენტი ბერის (ლექსი)	4
ე. ზედეინიძე—ბროლის (მთხოვთანა)	5
ზ. ჭუმბურიძე—წახჩინებული (ლექსი)	8
ს. კ. გილი—ექტი წელი გ. ი. ლენინთან (მოგონება, გაგრძელება)	9
ბ. ბეთანელი—ზღვა (ლექსი)	10
დ. შიმათვა—გორგა ჭალალიშვილი (წერილი)	14
მ. ლებანიძე—საბანაკო (ლექსი)	15
ა. ისაკიანი—ყველაზე სასაჩვებლო რამ (ზღაპარი)	16

ა. დაფითიანი—ავეტიკ ისაპაიანი (ბიოგრა- ფიული ცნობები)	17
ასცც ხდება (ძველი დროის ამბავი)	18
ლ. ავალიანი—ვახტანგის სინანული (მოთხოვთა)	19
გ. ბერძენიშვილი—მზევინარი (მოთხოვთა)	22
შეგირდის მოსახურებულობა (ამბავი, თარგმანი ქ. კოჩაშვილისა)	23
რ. ქორქა—კოლხეთი (ნარკეცი)	24
შ. ძიძიგული—აკაკი შანიძე (ქართველი შეც- ნიერები)	27
ი. წულაძე—უჩინარი სამყარო (ატომისტი— ქის ისტორიიდან)	29
გამსართობი	32
გ. კაჭახიძე—უწარუნი გაფრენა კანის მე-3 გვ.	გარე-

გარეკანზე „მოგზაური პიონერები ბათუმის წაგსაღ-
გურში“—ნახატი ჟ. ცხადადისა

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე,
გ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავშიშვილი, გ კაჭახიძე (პ/მგ. რედაქტორი),
ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

უ 10123. ტირაჟი 7000, გამომც. № 73, სტამბის შეკვეთა № 1012,

ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

ფურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგემონო სამინისტროს ლითოგრაფიაში.


უკრაური გაფრენა

ეროვნული
სიმბოლი



5. ნიავმა შემოუბერა,
ისევ მიფრინავს მარტო,
ვოლგას მიადგა, ამლერდა
გმირი ქუჩები ფართო.

ბევრგან ხარაჩოს ხედავს,
რა ქალაქია, ნეტავ?




7. ძირს ვერ ჩამოხტა, განაგრძე
გზა სამხრეთიკენ გრძელი;<
დნეპრზე გაბრწყინდა ქალაქი
ბოგდან სმელნიცის ძეგლით
უევჩენკოს ლანდსაც ხედავს,
რა ქალაქია, ნეტავ?



6. ფერად ბუშტებზე მინდობილს
არ ეკარება რული,
მიფრინავს, მალე გამოჩნდა
ჩვენი სამშობლოს გული.

გუნდად ვარსკვლავებს ხედავს,
რა ქალაქია, ნეტავ?



8. შორს გაიტაცა ნიავმა,
თავზე მოექცა ყირიმს,
შავ ზღვას მიადგა, ამლერდა
ისევ ქალაქი გმირი.
კრეისერებაც ხედავს,
რა ქალაქია, ნეტავ?

ლექსი 8. კაჭახიძისა
სურათები პირადობისა და ჩავთარაძის

თვალი 5 მან.

90/587

6201

1587

სამეცნიერო
გუნდის მუზეუმი

